ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## риказов и инструкций

*инистерства просвещения Грузинской ССР*

**1**

იანვარი

თბილისი—1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 1385

### ბორჯომის სამრეწველო სამმართველოს ზონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით მუშაობს, თითოეულ გაკვეთილზე მოსწავლეებს აძლევს მტკიცე ცოდნა-ჩვევებს და მოსწავლეებს სასწავლო საგნებში პროგრამით გათვალისწინებული მასალის მყარი ცოდნა გააჩნიათ.

ამ მხრივ მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნინო და ქეთევან ხუციშვილები (ქ. ბორჯომის პირველი საშ. სკოლა), ვ. ხუროშვილი (ქ. ბორჯომის მეორე საშ. სკოლა), ა. გონგლაძე და ვ. გოგოლაძე (წაღვერის საშ. სკოლა); რუსული ენის მასწავლებლები ნ. გასიტაშვილი (ქ. ვალეს I საშ. სკოლა), ე. არუთინოვა (ბაკურიანის საშ. სკოლა); მათემატიკის მასწავლებლები ა. ზურაბიშვილი (ბორჯომის პირველი საშ. სკოლა), ვ. აფხაიძე (ბორჯომის მეორე საშ. სკოლა), ს. გრიგალაშვილი (წაღვერის საშ. სკოლა), ე. სტეპანიანი (ბაკურიანის საშ. სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები ვ. გელაშვილი (ბორჯომის მეორე საშ. სკოლა), ა. ლაჭყეპიანი (ბორჯომის პირველი საშ. სკოლა), ლ. ქაჯაია (წაღვერის საშ. სკოლა), ვ. გეგუჩაძე (ბაკურიანის საშ. სკოლა), ქიმიის მასწავლებლები ე. ხარანაული (ვალეს I საშ. სკოლა); დ. ნაცვლიშვილი (ბაკურიანის საშ. სკოლა); ისტორიის მასწავლებლები ვ. აბულაძე (ბორჯომის პირველი საშ. სკოლა); თ. აბაშიძე (ბორჯომის მეორე საშ. სკოლა), გ. ივანიძე (ვალეს I საშ. სკოლა).

კარგადაა მოწყობილი ფიზიკის კაბინეტები ბორჯომის პირველ, მეორე და წაღვერის საშუალო სკოლებში, ქიმიის კაბინეტები ვალესა და ბაკურიანის საშუალო სკოლებში, სადაც შეიძლება პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქ. ბორჯომის მოწინავე მასწავ-

ლებლებმა ა. ზურაბიშვილმა, ე. აფხაიძემ, და ზ. ქურდაძემ საკუთარი ინიციატივით ქალაქის ყველა სკოლიდან თავი მოუყარეს მათემატიკის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეებს და მათთან მუშაობას აწარმოებენ სპეციალურად შედგენილი გეგმის მიხედვით.

განათლების განყოფილება (გამგე ბ. მინჯია) რეგულარულად ამოწმებს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას და ატარებს ქმედით ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მ. კვახაძე (ქ. ვალეს I საშ. სკოლა), ე. ინჩქითი (ბაკურიანის საშ. სკოლა) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ნაწარმოების მხატვრულ და იდეურ ანალიზს, ლიტერატურის თეორიის ძირითად ცნობებს ორგანულად ვერ უკავშირებენ ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლას, გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალიდან მოწყვეტილად, ვერ იყენებენ მას მართლწერის ჩვევების დასანერგად, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მასალის განმეორებას, მოუმზადებლად ატარებენ და ზერელედ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო, საშინაო და საკონტროლო წერით სამუშაოებს, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

სასურველ შედეგს ვერ აღწევენ მუშაობაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ე. კაკაბაძე, ჯ. გოგოლაძე და ლ. ლომიძე (ქ. ბორჯომის პირველი საშ. სკოლა); მ. მაისურაძე და ს. აბრამიშვილი (ქ. ბორჯომის მეორე საშ. სკოლა); ე. ოკუჯავა (წაღვერის საშ. სკოლა).

ბორჯომის ზონის სკოლები დაკომპლექტებულია რუსული ენისა და ლიტერატურის მცოდნე მასწავლებლებით და მოსწავლეებიც საპროგრამო მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ; უფროსი კლასების მოსწავლეთა ნაწილი ახერხებს გაბმულ მეტყველებას. მიუხედავად ამისა შემოწმებული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ მეტყველებს რუსულ ენაზე, ღარიბია მათი ლექსიკონი, წერენ და კითხულობენ შეცდომებით. ზეპირი პასუხების დროს უშვებენ ბევრ შეცდომას.

უფრო მძიმე მდგომარეობაა წერით მეტყველებაში. მოსწავლეთა ნაწერებში დაშვებულია ძალიან ბევრი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათის შეცდომები; ძალიან დაბალია ასოების წერის ტექნიკა. წერითი ნამუშევრები ხშირად ისეა შესრუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებული, რომ ზოგჯერ ნაწერის გასწორებაც კი ძნელდება. ასოების მოხაზულობა არათანაბარი და დამახინჯებულია, დახრილობა არაბუნებრივი და შეუსაბამოა. მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა განსაკუთრებით დაბალია ბაკურიანის საშ. სკოლაში (მასწავლებლები ე. შიოიანი და ვ. გონდარენკო). შემოწმებულ სკოლებში მოსწავლეები არადამაკმაყოფილებლად ფლობენ კითხვის ტექნიკას. მოსწავლეები ვერ ფლობენ რუსულ სამეტყველო ინტონაციას, მახვილს, უმახვილო ხმოვნებს გამოთქვამენ ისე, როგორც იწერება, თითქმის უყურადღებოდ ტოვებენ სასვენ ნიშნებს. ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მასწავლებლები არ მუშაობენ განათლების სამინისტროს სადირექტივო მითითებების მოთხოვნათა შესაბამისად. თითქმის ჩაშლილია სალექსიკონო მუშაობა ბორჯომის პირველი (მასწავლებლები ნ. კილიმნიკოვა, ნ. ბასილაშვილი), ბაკურიანის (მასწავლებლები ე. შიოიანი, ვ. გონდარენკო), წაღვერის (მასწავლებლები დ. გეორგაია, გ. მძინარიშვილი) და ვალეს (მასწავლებლები ნ. ჯულაყიძე, ე. ავაქოვა) საშუალო სკოლებში. გაკვეთილის ახსნისას ისინი ზერელედ აწარმოებენ ახალი სიტყვების ახსნას, ძნელად გასაგებ სიტყვებს არ განმარტავენ დეტალურად, ახალ მასალას არ უკეთებენ შესაფერის ლექსიკურ ანალიზს და სხვ.

დაბალ დონეზე დგას მათემატიკის სწავლება ბაკურიანის საშუალო სკოლის XI კლასში. აქ წამყვანი მასწავლებლის ავადმყოფობის გამო სასწავლო წლის დასაწყისიდან ასწავლის შემცვლელი მასწავლებელი დ. მაკიევი, რომელიც ვერ ფლობს XI კლასის მათემატიკის კურსს და უშვებს უხეშ შეცდომებს; მაგალითად, წაკვეთილ კონუსში ვერ ჩახაზა წაკვეთილი პირამიდა, რომელზედაც ეყრდნობა თეორემის მტკიცება. გეომეტრიული სხეულის დახაზვის დროს არ იცავდა დადგენილ წესებს. იმ ხაზებს, რომლებიც უშუალოდ არ ჩანს, ნაცვლად წყვეტილისა, ავლებდა უწყვეტ ხაზად. თეორემის დამტკიცებისას მასწავლებელმა გამოავლინა არამარტო მეთოდური ლიტერატურის, არამედ სახელმძღვანელოში მოცემული მასალის უცოდინარობაც. მასწავლებელ დ. მაკიევს წესრიგში არა აქვს მოსწავლეთა საკონტროლო და საშინაო წერის რვეულები და სხვა.

ბორჯომის II საშუალო სკოლის VIII კლასში მათემატიკას ასწავლის მ. აბაშიშვილი, რომელიც თვითონ ვერ ერკვევა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ფესვის არითმეტიკული მნიშვნელობა, კვადრატული ამოფესვა ამა თუ იმ სიზუსტით და სხვ.

XI კლასში ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგები ასეთია:

ბორჯომის II საშუალო სკოლაში (მასწ. ე. აფხაიძე) 26 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან „ფრიადი“ შეფასება მიიღო—2-მა; „კარგი“ 7-მა, „დამაკმაყოფილებელი“—9, „არადამაკმაყოფილებელი“ კი—8. ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში 15 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან 3 შეფასდა „კარგზე“, დამაკმაყოფილებლად 6 და „არადამაკმაყოფილებლად“—6; წაღვერის საშუალო სკოლაში 24 წერითი ნამუშევრიდან შეფასებული იქნა: „ფრიადზე“—2, „კარგზე“—1, „დამაკმაყოფილებლად“—11 და „არადამაკმაყოფილებლად“ 10. ამ მასწავლებლებს უფრო მეტი მუშაობა დასჭირდებათ, რომ სასწავლო წელი უკეთესი შედეგებით დაამთავრონ.

სათანადოდ ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს ბაკურიანის საშ. სკოლის VII კლასის ფიზიკის მასწავლებელი ლ. ბაფეროვი. იგი მხოლოდ VII კლასში ასწავლის ფიზიკას და დანარჩენ კლასებში კი—მათემატიკას. VII კლასის მოსწავლეებმა შეცდომით დაწერეს დაფაზე მუშაობის საზომ ერთეულებს შორის დამოკიდებულება: 1 კგმ—0,102 ჯოულს და 1 ჯოული—9,8 კგმ, რაც მასწავლებელმაც დაუდასტურა. მასწავლებელმა ახალი მასალა „სიმძლავრე და სიმძლავრის ერთეულები“ შეუსაბამო მაგალითებით აუხსნა და ზერელედ, ყოველგვარი განმარტების გარეშე, დაუწერა სიმძლავრის ფორმულა. მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს ამოცანებზე ვარჯიშს და არ ატარებს ლაბორატორიულ სამუშაოებს. მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან გავლილი მასალა.

ვალეს I საშუალო სკოლის VI—VIII კლასებში ფიზიკას ასწავლის მ. კაკაჩიშვილი, რომელიც სპეციალობით ქიმიკოსია და სრულყოფილად ვერ ფლობს ფიზიკას და მისი სწავლების მეთოდებს. მან VIII კლასში ახალი მასალა—გამტარების პარალელური შეერთება თვალსაჩინოების გარეშე ახსნა, ზეპირად გააცნო მიმდევრობითი შეერთების კანონები. მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა. მასწავლებელს არც ერთ კლასში ლაბორატორიული სამუშაოები არ აქვს ჩატარებული, არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. საპროგრამო მასალის გავლის საქმეში ჩამორჩენას აქვს ადგილი VI და VII კლასებში რვა-რვა საათით, VIII კლასში—10 საათით.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის (მასწ. ნ. გოგიჩაიშვილი) VI და XI კლასების მოსწავლეებმაც.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება წაღვერის საშუალო სკოლაში. ლ. გელაშვილი დამწყები მასწავლებელია და თვითონ ვერ ერკვევა მთელ რიგ მნიშვნელოვან

საკითხებში (ჟანგეულების და ფუძეების ქიმიური თვისებები, ნახშირწყალბადთა სტრუქტურული ფორმულები, ნახშირორჟანგის აღმდგენელი თვისებები და ა. შ.). იგი სუსტად ფლობს აგრეთვე ქიმიის ექსპერიმენტს და გაკვეთილებს ზეპირსიტყვიერად ატარებს. მოსწავლეები საპროგრამო მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქიმიის სწავლება ბორჯომის მეორე საშუალო სკოლაში (მასწ. კ. ჭურაძე). მასწავლებელი არასაკმაოდ მუშაობს თავის თავზე და სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს მოსწავლეთა მიმართ, რის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადება. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმითაც, რომ მასწავლებელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს განმეორებას და, რაც მთავარია, უპასუხისმგებლოდ ეკიდება საშინაო დავალების შესრულების საქმეს. VIII კლასში 22-დან 8 მოსწავლეს ჰქონდა დავალება შესრულებული, ხოლო სხვა კლასებში ეს უკანასკნელი სრულიად არ ჰქონდათ მიცემული.

პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებას ფორმალური ხასიათი აქვს. მოსწავლეთა ნამუშევრები ერთმანეთის ასლს წარმოადგენენ. ნამუშევრები არ სწორდება მასწავლებლის მიერ.

აღნიშნულ სკოლებში უგულებელყოფილია კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში.

საგრძნობი ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიის სწავლება ბორჯომის პირველ საშუალო სკოლის VII, VIII და X კლასებში (მასწავლებელი გ. ხუჯაძე), ბაკურიანის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ა. სამხარაძე), წაღვერის საშ. სკოლაში (მასწავლებელი ბ. მაისურაძე). აღნიშნული მასწავლებლების თხრობას აკლია საჭირო კონკრეტულობა, სიმარტივე და დამაჯერებლობა. ისინი კმაყოფილდებიან ისტორიული ფაქტების აღნიშვნით, ვერ არკვევენ მოვლენის, ფაქტის მიზეზებს, შედეგებს, მნიშვნელობას, უფრო მეტიც: ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ხუჯაძე ახალი მასალის თხრობის დროს არ იცავს თანმიმდევრობას, ზოგჯერ უშვებს ფაქტიურ შეცდომებს, არ აზუსტებს დებულებებს, სტოვებს მნიშვნელოვან მომენტებს. მაგალითად, X კლასში ხსნიდა რა მასალას, „რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა საფრანგეთში, ინგლისსა და „აშშ-ში“, სრულიად არ ახსნა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა აშშ-სა და ინგლისში.

მოსწავლეები უკეთეს შემთხვევაში იზეპირებენ სახელმძღვანელოს შესაბამის თავს გააზრებლად და ამრიგად ინერგება ფორმალიზმი ისტორიის სწავლებაში.

არცერთ შესწავლილ სკოლაში არაა მოწყობილი ისტორიის კლასკაბინეტი, სრულიად უგულებელყოფილია სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

ბიბლიოთეკა

ბორჯომის მეორე და ბაკურიანის საშუალო სკოლების XI კლასებში ისტორიას და საზოგადოებათმცოდნეობას სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლის.

შემოწმებულ სკოლებში დაბალია აკადემიური წარმატება. სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგად. სახელდობრ, შეფასებული მოსწავლეებიდან ვერ ასწრებს—ბორჯომის მეორე საშ. სკოლაში (დირექტორი გ. მაღრაძე) 454-დან 135 (29, 2 %), წაღვერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ინასარიძე) 441-დან 87 (23 %), ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. აბულაძე) 715-დან 193 (27%), საგულისხმოა, რომ პირველი მეოთხედის შედეგად ვერ ასწრებენ პირველკლასელები ქ. ვალეს I საშუალო სკოლაში—9, ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში—7, ბორჯომის მეორე საშუალო სკოლაში—5.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მეორეწლიან მოსწავლეებთან. პირველი მეოთხედის შედეგად ვერ ასწრებენ მეორეწლიანი მოსწავლეები ბაკურიანის საშუალო სკოლაში 49-დან 22. ბორჯომის მეორე საშ. სკოლაში—17-დან 9, პირველ საშ. სკოლაში 13-დან 7.

მოსწავლეთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე საფუძვლიანად არ სწავლობენ მასწავლებელთა მუშაობას, არ ავლენენ მასწავლებელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და არ ეხმარებიან მათ საგნის სწავლების უკეთ დაყენებაში. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები წაღვერის საშ. სკოლის დირექტორს ვ. ინასარიძეს, სასწავლო ნაწილის გამგეს ლ. ჩანტლაძეს, ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეებს ნ. დვალიშვილს და ნ. გოგიჩაშვილს. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზერელე და არაფრის მთქმელია. ისინი საფუძვლიანად არ იცნობენ ყველა საგნის სასწავლო პროგრამას, მის განმარტებით ბარათს, სახელმძღვანელოს, განათლების სამინისტროს სათანადო მითითებებს და მკაცრად არ მოითხოვენ მის შესრულებას.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სრულიად არ ვლინდება ცალკეული მასწავლებლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსას-

წორებლად და არ ხდება მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება გაკვეთილების ცხრილი წაღვერის (დირექტორი ვ. ინასარიძე), ბორჯომის მეორე (დირექტორი გ. მაღრაძე) საშუალო სკოლებში.

ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური მუშაობა, ნაკლებად ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება და დანერგვა მუშაობაში.

ადგილი აქვს სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლიდან ჩამოშორების შემთხვევებს; მაგალითად, ბორჯომის პირველ, მეორე და წაღვერის საშ. სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით სწავლას ჩამოშორდა თითო მოსწავლე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გულმოდგინედ შეისწავლონ ყველა საგანში სასწავლო პროგრამები, მათი განმარტებები, სახელმძღვანელოები და განათლების სამინისტროს სათანადო მითითებები; ღრმად ჩაწვდნენ ცალკეული საგნების სწავლების არსში და გაკვეთილებზე დასწრების შედეგად მასწავლებლებს მისცენ საჭირო მითითებები საგნების სწავლების მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენების მიზნით;

ბ) დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან;

გ) მომზადებულად ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები, გამოავლინონ ცალკეული საგნების სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პერიოდულად შეამოწმონ მიღებული დადგენილებების შესრულება;

დ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ და მეთოდურ მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ქ. ბორჯომის განათლების განყოფილებამ (ამხ. ბ. მინჯია):

ა) სისტემატურად შეისწავლოს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობა. შემოწმების შედეგები პერიოდულად განიხილოს განათლების საბჭოს სხდომებზე. შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი და უზრუნველყოს მათი განხორციელება.

ბ) მიიღოს ქმედითი ზომები ქიმიის სწავლების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის; შექმნას ქალაქის ერთ-ერთ სკოლასთან ძლიერი ქიმიის კაბინეტი და სათავეში ჩაუყენოს მას დახელოვნებული მას-

წავლებელი, რომელიც შეძლებს მეთოდური დახმარება გაუწიოს დანარჩენი სკოლების ქიმიის მასწავლებლებს და უხელმძღვანელებს ამ საგანში მეთოდურ გაერთიანებას;

გ) აღნიშნული ბრძანება განიხილოს ბორჯომის სამრეწველო ზონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე;

დ) მესამე მეოთხედში შეისწავლოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობა და, თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მათ მიმართ მიიღოს მკაცრი ორგანიზაციული ზომები.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის წაღვერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს—ლ. ჩანტლაძეს, ქ. ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეებს ნ. დვალიშვილს, ნ. გოგიჩაშვილს მიეთითოთ.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 11 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 13 იანვრის ბრძანება № 34

### წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანისა და სიღნაღის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ზოგიერთ სკოლას ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში.

ბევრი მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, საგნის სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, გაკვეთილს ატარებს შინაარსიანად და მიმზიდველად. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში—ს. ხმალაძე, ლ. ნარიმანოვი (სიღნაღის საშ. სკოლა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში—მ. ქათამაძე, ს. იაგუბოვა (სიღნაღის საშ. სკოლა), ისტორიაში—ნ. მურმანიძე, ს. ენიაშვილი (სიღნაღის საშ. სკოლა), ა. ტარყაშვილი (მაღაროს საშ. სკოლა), ა. კოკოზაშვილი, ც. ორჯონიკიძე (მაშნაარის რვაწლიანი სკოლა), გ. ბეიტრიშვილი, ვ. დარჩიაშვილი (ვაქირის საშ. სკოლა), ფიზიკაში—ა. მჭედლიშვილი (სიღნაღის საშ. სკოლა), ლ. ვარსიმაშვილი, თ. ბეგაშვილი (მაღაროს საშ. სკოლა), ქიმიაში—ე. ბაზერაშვილი (ვაქირის საშ. სკოლა), ქ. შაიშმელაშვილი (სიღნაღის საშ. სკოლა), ინგლისურ ენაში—ლ. ნადაშვილი (მაღაროს საშ. სკოლა), ე. გალუსტოვი, ნ. ხელაშვილი (სიღნაღის საშ. სკოლა), ე. მიხაილოვა (ხირსის რვაწლიანი სკოლა).

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული საწარმოო სწავლებისათვის ბაზების გამოყოფა-მოწყობის და სწავლების გაუმჯობესების საქმეში. სკოლების დირექტორებისა და საწარმოო სწავლების დარგში დირექტორის მოადგილეთა ერთი ნაწილი სისტემატურად ესწრება ზოგადი და სპეციალური საგნების მასწავლებლებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობაზე, პერიოდულად ამოწმებს მწარმოებლური შრომის პროცესსა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

კარგად არის დაყენებული საწარმოო სწავლება ქ. სიღნაღის, ვაქირის და მაღაროს საშუალო სკოლებში—მოფიქრებულადაა შერ-

ჩეული პროფილები, პროფილების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილი და მიდრეკილება, აგრეთვე ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაციათა მოთხოვნები კადრებზე.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით არ ასრულებს თავის მოვალეობას, არ ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, არ ეხმარება ჩამორჩენილ მოსწავლეებს და ადვილად ურიგდება ნაკლოვანებებს.

დაბალ დონეზეა დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება მაზნაარის რვაწლიან (მასწ. თ. მირიანაშვილი, თ. მღვდლიშვილი), მაღაროს (მასწ. ჟ. ლეკიაშვილი), ზემო მაჩხაანის (მასწ. ა. კვანჭილაშვილი, ე. მამულაშვილი, ც. მიქელაშვილი) და ვაქირის (მასწ. უ. ყორღანაშვილი, მ. საგინაშვილი) საშუალო სკოლებში. ხშირ შემთხვევაში შესწავლილ სკოლებში ქართული ენის გრამატიკის სწავლება ზეპირსიტყვიერად, ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან მოწყვეტილად მიმდინარეობს, არ წარმოებს ტექსტებზე მუშაობა და თვალსაჩინოების გამოყენება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ვაქირის საშუალო სკოლის მასწავლებელი უ. ყორღანაშვილი, მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს და ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა ვაქირისა (მასწ. ა. ნარეკლიშვილი, კ. ბუთლიაშვილი) და მაღაროს (მასწ. ს. ბურდული) საშუალო სკოლებში. მასწავლებლები სათანადოდ არ მუშაობენ თავისი ცოდნისა და მეთოდური დახელოვნების გაღრმავებაზე. მათი მოსწავლეები რუსული ენის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, დამახინჯებულად კითხულობენ, არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს, წერით ნამუშევრებში უშვებენ უამრავ შეცდომას.

მასწავლებლები ზ. ნავროზაშვილი (მაღაროს საშ. სკოლა), ე. ნარეკლიშვილი (ხირსის რვაწლიანი სკოლა) სისტემატურად არ ასწორებენ საკლასო-საშინაო რვეულებს, არ იცავენ საკლასო-საშინაო წერების დოზირებას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება ზემო მაჩხაანისა (მასწ. მ. სეხნიაშვილი, ს. მესხიშვილი) და მაღაროს (მასწ. ლ. ბეგაშვილი) საშუალო სკოლების VII—XI კლასებში. მოსწავლეებს არ შესწევთ დამოუკიდებლად ამოცანების ამოხსნის უნარი, აღნიშნული მასწავლებლები არ ცდილობენ დანერ-

გონ მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩვევები, გეომეტრიას თვალსაჩინოების გარეშე ასწავლიან, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე; მუშაობისას მიმართავენ ლექციურ მეთოდს, მოსწავლეებს არ აბამენ მუშაობაში და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ხირსის რვაწლიან სკოლაში.

ვაქირის საშუალო სკოლის XI კლასის მასწავლებელი ვ. ნანობაშვილი საკონტროლო წერებს ნაკლებად ატარებს. მეორე მეოთხედში შემოწმების მომენტისათვის მას არცერთი საკონტროლო წერა არ ჰქონდა ჩატარებული.

სერიოზულ ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება ზემომაჩხაანის (მასწ. ბ. ბიკაშვილი, შ. ბოსტოღანაშვილი, ნ. სესიტაშვილი) და ვაქირის (მასწ. ვ. იასაშვილი) საშუალო სკოლებში. აღნიშნული მასწავლებლები არ ახდენ გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას, არ იყენებენ დამხმარე მეთოდურ ლიტერატურას და არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, რის გამოც ამ სკოლების მოსწავლეები დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ. მასწ. ბ. ბიკაშვილი არ მუშაობს მოქმედი პროგრამით, VIII კლასში მეოთხე მეოთხედში შესასწავლი თემა „სინათლის მოვლენები" უკვე პირველ მეოთხედში გაიარა, IX კლასში მეორე მეოთხედის ბოლოსათვის გავლილი აქვს მესამე მეოთხედის მასალა 15 საათის რაოდენობით, ხოლო მე-11 კლასში I მეოთხედში, III მეოთხედის მასალა უკვე ამოწურული ჰქონდა, ამიტომაცაა, რომ აღნიშნული კლასის მოსწავლეები მეტად დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ ფიზიკაში. ანალოგიური მდგომარეობაა მე-9 და მე-10 კლასებში, სადაც მასწ. მ. ბოსტოღანაშვილი ასწავლის. ვაქირის საშ. სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ვ. იასაშვილი) არ იციან გრაფიკულად როგორ გამოისახება „ბოილ-მარიოტის, გეი-ლუსაკისა და შარლის კანონები". მასწავლებელი ვ. იასაშვილი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავების საქმეს. მე-10 კლასში საკონტროლო წერად მიცემული ორი მარტივი ამოცანა ორ ვარიანტად 17 მოსწავლიდან დამაკმაყოფილებლად შეასრულა მხოლოდ 4-მა მოსწავლემ. არადამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ ამავე სკოლის მე-6-8 კლასების მოსწავლეები ფიზიკაში და XI კლასის მოსწავლეები ელექტროტექნიკაში (მას. ვ. ცერცვაძე). მაშნაარის 8-წლიან სკოლაში მასწ. ჩეკურიშვილის უპასუხისმგებლო მუშაობით ფიზიკის ხელსაწყოები გაბნეულია, ნაწილი—დაზიანებული და დამტვერიანებული.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია მაღაროს საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ა. საგინაშვილი სათანადოდ ვერ

ფლობს საგანს და მის ექსპერიმენტს. გაკვეთილებს მეტწილად ზე-პირსიტყვიერად ატარებს. ფორმალური ხასიათი აქვს ლაბორატორიული მუშაობის ჩატარებას. მოსწავლეების ნამუშევრები ერთი მეორის ზუსტ ასლს წარმოადგენენ. მე-9-10-11 კლასის მოსწავლეები საპროგრამო მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ. დაბალია აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის დონე ზემო მაჩხაანის საშ. სკოლის მე-10 კლასში. (მასწ. ზ. ალადაშვილი).

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ისტორიაში ზემო მაჩხაანის საშ. სკოლის IX კლასში. მასწავლებელი ც. იაკობაშვილი სათანადო მონდომებით არ ემზადება გაკვეთილისათვის, ზერელედ, უფერულად ხსნის ახალ მასალას, არ აკეთებს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზს, პასიურად ეკიდება თვალსაჩინოების გამოყენებას. მოსწავლეებს არ აქვთ ისტორიული მასალის დამოუკიდებლად თხრობის მტკიცე ჩვევები. მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებას, მთელი კლასის აქტიურად ჩაბმას გაკვეთილების პროცესში.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე პასუხისმგებლობით არ ეკიდება საწარმოო სწავლებისა და შრომითი სწავლების საქმეს. განათლების სამინისტრომ 1962 წლის დეკემბერში შეისწავლა სიღნაღის რაიონის სხვა სკოლებთან ერთად ზემო მაჩხაანის საშ. სკოლაში საწარმოო და შრომითი სწავლების მდგომარეობა (დირექტორი ვ. ჯამასპიშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში მ. სეხნიაშვილი), რის შედეგად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 11 თებერვლის № 181 ბრძანებით სკოლის ხელმძღვანელობას მისცა სათანადო მითითებები. მიუხედავად ამისა, ნაკლოვანი მხარეების გამოსწორების ნაცვლად მდგომარეობა უფრო გაუარესებულია. არავითარი დახმარება და კონტროლი არ ეწევა სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილ ბაზებსა და ნაკვეთებზე მომუშავე მასწავლებლებს. სკოლის არცერთი მუშაკი არ იცნობს აღნიშნულ ბრძანებას.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული კლასის ხელმძღვანელების მუშაობა მაღაროს, ზემო მაჩხაანის საშუალო და მაშნაარის რვაწლიან სკოლაში. აღნიშნული სკოლების კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები შედგენილია ნაჩქარევად, კლასის სპეციფიურობის გაუთვალისწინებლად. სუსტია კლასის ხელმძღვანელთა კავშირი პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. მაშნაარის რვაწლიან და მაღაროს საშუალო სკოლებში არა სათანადო სიმაღლეზე დგას კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანებების მუშაო-

ბა. დაწყებითი კლასების ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანების სამუშაო გეგმით გათვალისწინებული თემატიკა უგულებელყოფს სააღმზრდელო ხასიათის საკითხებს.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით სასკოლო ასაკის მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს: სიღნაღის საშუალო სკოლიდან სწავლას ჩამოსცილდა V—VIII კლასებში 2 მოსწავლე, ხოლო ვაქირის, ზემო მაჩხაანის საშუალო და ხირსის რვაწლიან სკოლებს—თითო მოსწავლე.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში არ იგრძნობა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ავანგარდული და მაორგანიზებელი როლი სწავლაში.

დაბალია მოსწავლე კომკავშირელთა მოსწრება. ვაქირის საშუალო სკოლაში 98 კომკავშირელიდან ვერ ასწრებს 11, სიღნაღის საშუალო სკოლის 130 კომკავშირელიდან—22.

მიუხედავად იმისა, რომ შემოწმებულ სკოლებში პიონერთა ოთახები კარგადაა გაფორმებული, გეგმები დამაკმაყოფილებლად აქვთ შედგენილი და ჩატარებული მუშაობის შესახებ ალბომები სათანადოდ აქვთ გაფორმებული—პიონერული მუშაობა მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებს; სიღნაღის საშუალო სკოლის 179 პიონერიდან ასწრებს 80%, ვაქირის საშუალო სკოლის 158 პიონერიდან—84 %,ხოლო ზემო მაჩხაანის 212 პიონერიდან—86%, რაც აღნიშნული სკოლის პიონერთა ორგანიზაციების დაბალნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს.

რიგ სკოლაში საგნობრივი მეთოდური გაერთიანების მუშაობა არ დგას სასურველ სიმაღლეზე. მეთოდური გაერთიანების გეგმებში შეტანილი ზოგიერთი საკითხი ზოგადია.

ზოგიერთი სკოლის მათემატიკის წრის სამუშაო გეგმაში შეტანილია საპროგრამო მასალიდან აღებული თემები.

ერთგვარი ნაკლოვანებებით ხასიათდება ზოგიერთი სკოლის წლიური სამუშაო გეგმები. მათში გათვალისწინებული არ არის ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მათი განზოგადება.

სათანადო სიმაღლეზე არა დგას შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობისადმი. ორი მეოთხედის მანძილზე მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები ვაქირის (ქ. ვარაზანაშვილი), მაღაროს (გ. მირაშვილი) და ზემო მაჩხაანის (ვ. ჯამასპიშვილი) საშუალო სკოლების დირექტორებს.

შესწავლილ სკოლებში გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპი ძირითადად დაცულია, იგი აკმაყოფილებს პედაგოგიურ მოთ-

ხოვნებს, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში (ზემო მაჩხაანის, მაღაროს, ხირსის) მაინც შეინიშნება ცხრილის მეთოდურად გაუმართაობა. ადგილი აქვს ძნელად დასაძლევი საგნების (ფიზიკის, ქიმიის, ალგებრის) მეექვსე გაკვეთილებზე და ორსაათიანი სასწავლო დისციპლინების დიდ შუალედებში მოთავსებას.

ხშირია საკლასო ჟურნალებში ნიშნების გადასწორებისა და ამოფხეკის შემთხვევები. მასწავლებელთა ერთ ნაწილს საკლასო ჟურნალებში არ შეაქვს მიმდინარე შეფასების ნიშნები და ადგილი აქვს მეოთხედური ნიშნების გამოყვანის არასწორ პრაქტიკას, მაგალითად, ზემო მაჩხაანის საშ. სკოლის VII კლასში ქართულ ენაში მოსწავლე გოგოლაშვილს მიმდინარე შეფასების დროს მიღებული აქვს სამჯერ ნიშანი „ოთხი", მეოთხედურ ნიშნად კი გამოყვანილი აქვს „5". ზუსტად არ არის დაჯამებული მოსწავლეთა გაცდენები მეოთხედის ბოლოს, მოუგვარებელია სკოლის დღიურების წარმოება; ხშირია შემთხვევები, რომ მორიგე მასწავლებლებს არ შეაქვთ მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილები და დაგვიანება და სხვა.

შესწავლილ სკოლებში მოუგვარებელია მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები. ბევრ მასწავლებელს არ აქვს დანიშვნის ბრძანება, ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი და ცენზის დამადასტურებელი დოკუმენტი. უმრავლეს სკოლებში მოსწავლეთა რვაკლასდამთავრების მოწმობებზე ხელს არ აწერენ მასწავლებლები, მოსწავლეთა პირად საქმეში არ არის დაბადების მოწმობები და სხვ.

შემოწმებულ სკოლებში ადგილი აქვს საათების დაქუცმაცების შემთხვევებს. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში ფიზიკაში 2 საათი აქვს მასწ. ნ. სესიტაშვილს, ხირსის რვაწლიან სკოლაში—ქიმიაში 2 სთ—მასწ. ნ. ალექსეევას, სიღნაღის საშუალო სკოლაში ისტორია —2 სთ. მასწ. მ. მენჯიშვილს, და 2 სთ. ბიოლოგიაში—ვ. ხოსიტაშვილს და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ე. დალაქიშვილი, მ. ლაპიაშვილი):

ა) გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობას, გაუწიონ მათ მეთოდური ხელმძღვანელობა და სასწავლო წლის დასრულებისას, შემოწმების შედეგების მიხედვით გაატარონ საჭირო ღონისძიებები;

ბ) არ დაუშვან ცალკეული საგნების საათების დაქუცმაცების შემთხვევები;

გ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე მოისმინონ სკოლის დირექტორების მოხსენებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების შესახებ, საკითხის წინასწარ საფუძვლიანად შესწავლით და საჭირო ღონისძიებების დასახვით;

დ) აღრიცხონ სკოლებში ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ დახელოვნებას საჭიროებენ და უზრუნველყონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საკურსო ღონისძიებაში მათი ჩაბმა;

ე) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა რაიონის სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) ქმედითი დახმარება გაუწიონ სწავლებაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს და უზრუნველყონ მათი მომზადების დონის ამაღლება; გარკვეულ ღონისძიებათა განხორციელებით მიაღწიონ არსებით გარდატეხას სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში;

ბ) აღკვეთონ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმების შედგენისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება;

გ) შეისწავლონ სკოლასჩამოშორებული სასკოლო ასაკის ბავშვების მდგომარეობა და უზრუნველყონ სწავლებაში მათი ჩაბმა;

დ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები, მიაღწიონ მათი პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ე) სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები;

ვ) დააწესონ მტკიცე კონტროლი კლასის ხელმძღვანელების მუშაობაზე;

3. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ჯამასპაშვილს გამოეცხადოს საყვედური.

4. სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არასათანადო დონეზე დაყენებისათვის ვაქირისა და მაღაროს საშუალო სკოლების დირექტორებს ამხ. ქ. ვარაზანაშვილსა და გ. მირაშვილს მიეთითოთ.

5. წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილებამ ამხ.

გ. ლაპიაშვილი) მიმდინარე წლის აპრილში შეისწავლოს სოფ. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მუშაობა და შემოწმების შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

6. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: თ. მირიანაშვილსა და თ. მღვდლიშვილს (მაშნაარის რვაწლიანი სკოლა), ა. კვანჭილაშვილს, ე. მამულაშვილს, ც. მიქელაშვილს (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა), უ. ყორღანაშვილს (ვაქირის საშ. სკოლა); რუსული ენის მასწავლებლებს: ა. ნარეკლიშვილსა და ვ. ბუთლიაშვილს (ვაქირის საშ. სკოლა), ს. ბურდულს (მაღაროს საშ. სკოლა), ე. ნარინდოშვილს (ხირსის რვაწლიანი სკოლა), მათემატიკის მასწავლებელს მ. სეხნიაშვილს (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა), ფიზიკის მასწავლებლებს: ბ. ბიკაშვილს; შ. ბოსტოღანაშვილს, (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა), ვ. იასაშვილს (ვაქირის საშ. სკოლა), ქიმიის მასწავლებლებს: ა. საგინაშვილს (მაღაროს საშ. სკოლა), ზ. ალადაშვილს (ზემო მაჩხაანის საშ. სკოლა).

7. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ორივე რაიონის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და გაიშალოს მუშაობა ბრძანებაში მითითებულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 14 იანვრის ბრძანება № 42

### 1963/64 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროში არსებული მასალებით დასტურდება, რომ 1963/64 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩარიცხული იქნა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში—168, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—550, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—1083, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში—159, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—136, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—98, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—51 აბიტურიენტი და ა. შ. კარგი მომზადება გამოამჟღავნეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, გორის, თელავისა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ცალკეული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად ამისა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გამოააშკარავეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის მომზადების დაბალი დონე, რაც ამ სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია.

1963/64 სასწავლო წელს კურსდამთავრებულთაგან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 641 აბიტურიენტიდან 131-მა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—1941-დან 609-მ, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—2347-დან 1263-მა, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში—377-დან 172-მა. ნ.

ჭავჭავაძის... 

რია, მასწავლებელი ნ. ადამია), დ. ვაშალომიძემ (მახარაძის რაიონი, ასკანის საშ. სკოლა, დირექტორი კ. ჯაველიძე, მასწავლებელი ნ. ნიკოლაიშვილი).

მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ოქროს მედალოსნებმა ნ. ოქრიაშვილმა (ბოლნისის რაიონი, განთიადის საშუალო სკოლა, დირექტორი თ. აკრიტოვი, მასწავლებელი თ. მანთაშაშვილი), ა. დოლიძემ (ჩოხატაურის რ-ნი, ხიდისთავის საშ. სკოლა, დირექტორი ა. კალანდაძე, მასწავლებელი გ. ჩიგოგიძე), ზ. დემეტრაძემ (მაიაკოვსკის რაიონი, ობჩის I-ლი საშ. სკოლა, დირექტორი ბ. ცქიტიშვილი, მასწავლებელი დ. მჭედლიძე), ნ. ნებიერიძემ (ზნაურის რაიონი, კეხვის საშ. სკოლა, დირექტორი ვ. კახნიაშვილი, მასწავლებელი ო. ჯანველაძე), ვ. ჩიჩიანმა (თბილისის 45-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. სენაჟენსკაია, მასწავლებელი ი. კოხნავერი); ვერცხლის მედალოსნებმა: ნ. სეხნიაშვილმა (სიღნაღის რაიონი, არბოშიკის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. მოლაშვილი, მასწავლებელი ვ. თარაშვილი), ნ. მეგრელიშვილმა (წულუკიძის სკოლა-ინტერნატი, დირექტორი ს. ჭოლოკავა, მასწავლებელი ლ. რუხაძე), ე. ამბარცუმაშვილმა (მარნეულის სამრეწველო რაიონი, ხრამჰესის საშ. სკოლა, დირექტორი ი. ფოტოვი, მასწავლებელი გ. სავიდი), ლ. ქამუშაძემ (საჩხერის რაიონი, ქორეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ცერცვაძე, მასწავლებელი პ. ბერიძე), მ. ჯღარკავამ (გეგეჭკორის რაიონი, ნაგვაზაოს საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ბერიძე, მასწავლებელი ნ. ჯღარკავა), ი. მუკბანიანმა (ლენტეხის რაიონი, ჩოლურის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. გარდაფხაძე, მასწავლებელი ნ. ბაბლუანი) გ. გეგიაძემ (ლანჩხუთის III საშუალო სკოლა, დირექტორი ი. მიქანაძე, მასწავლებელი თ. ხუხუნაიშვილი), დ. თოდუამ (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჯღარკავა, მასწავლებელი შ. თოდუა).

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ფიზიკაში ოქროს მედალოსნებმა: გ. ხარატიშვილმა (ლაგოდეხის I საშუალო სკოლა, დირექტორი, კ. ქებაძე, მასწავლებელი კ. კალაძე), ც. ციციშვილმა (გურჯაანის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. რაქვიაშვილი, მასწავლებელი ვ. გურგენაშვილი), ლ. ბიგვავამ (გალის რაიონი, ჭუბურხინჯის საშ. სკოლა, დირექტორი ვ. აქირთავა, მასწავლებელი გ. ყოლბაია), ლ. ყაზარავამ (საჩხერის I საშ. სკოლა, დირექტორი კ. ნადირაძე, მასწავლებელი ო. კაპანაძე), ლ. ბონდარმა (თბილისის 52-ე საშ. სკოლა, დირექტორი გ. ჩერკასოვა, მასწავლებელი ი. კელსი), რ. ჩლაიძემ (გუდაუთის რაიონი, ახალსოფლის საშუალო სკოლა,

დირექტორი შ. ჯოლაძე, მასწავლებელი უ. ჩიხრაძე); ვერცხლის მედალოსნებმა: ე. ბაბლუანმა (ლენტეხის რაიონი, ჩოლურის საშ. სკოლა, დირექტორი შ. გარდაფხაძე, მასწავლებელი ნ. ბაბლუანი), ე. გელაძემ (ახალციხის მ/ახალგაზრდობის საშ. სკოლა, დირექტორი ს. ხოსიტაშვილი, მასწავლებელი ლ. კუნდუხაშვილი), მ. თვალაძემ (წულუკიძის რაიონი, ბაშის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. თვალავაძე, მასწავლებელი ე. ნაფეტვარიძე), ა. ნაპირელმა (თელავის რაიონი, ვანთის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. კირვალიძე, მასწავლებელი მ. კირვალიძე), მ. ჩალათაშვილმა (გურჯაანის რაიონი, ვეჯინის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. გაბიტაშვილი, მასწავლებელი ვ. ორველაშვილი), ნ. კაჭახიძემ (თბილისის 67-ე საშ. სკოლა, დირექტორი გ. ვალაშვილი, მასწავლებელი ვ. გუნავა) მ. ალელიშვილმა (ხაშურის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი დ. კაკიაშვილი, მასწავლებელი რ. კალანდაძე), რ. ეფრემოვამ (თბილისის მე-2 საშ. სკოლა, დირექტორი ზ. სუხოვა, მასწავლებელი ვ. ფერაძე), ასევე ამ საგნის ფრიადოსანმა და კარგოსანმა კურსდამთავრებულებმა: ნ. ყორანაშვილმა (გორის რაიონი, ტირძნისის საშ. სკოლა, დირექტორი ო. კიკვილაშვილი, მასწავლებელი ც. ტერტერაშვილი), ზ. პოპიაშვილმა (სიღნაღის რაიონი, ტიბაანის საშ. სკოლა, დირექტორი მ. მახარაშვილი, მასწავლებელი გ. ონანაშვილი).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ქიმიაში ოქროს მედალოსნებმა: ლ. ჯეჯიამ (გალის II საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ეზუგბაია, მასწავლებელი ლ. სოსელია), ლ. დავითაძემ (ხულოს სკოლა-ინტერნატი, დირექტორი მ. ჯორბენაძე, მასწავლებელი ი. კეშელავა), მ. ქუთათელაძემ (თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, დირექტორი დ. სტეცენკო, მასწავლებელი ნ. გაბრიჩიძე); ვერცხლის მედალოსნებმა: გ. მამალაძემ (ზესტაფონის რაიონი, სიმონეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. სებისკვერაძე, მასწავლებელი ნ. ბოჭორიშვილი), შ. ტურავამ (გალის რაიონი, ქვედა ბარღების საშ. სკოლა, დირექტორი შ. ჩხეტია, მასწავლებელი დ. რიგვავა).

ქიმიაში დაბალი ცოდნა გამოიჩინეს ამ საგნის ფრიადოსანმა და კარგოსანმა კურსდამთავრებულებმა: დ. ბიწაძემ (გურჯაანის საშ. სკოლა, დირექტორი ნ. რაქვიაშვილი, მასწავლებელი ე. გორხელაშვილი), კ. გოდოლაძემ (ცაგერის რაიონი, ტვიშის საშ. სკოლა, დირექტორი ა. დაშნიანი, მასწავლებელი ვ. გოშხეთელიანი), მ. ჯულელმა (თბილისის მე-15 საშ. სკოლა, დირექტორი კ. გიორხელიძე, მასწავლებელი ვ. კაჭახიძე).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის ასეთი დაბალი დონე იმის შედეგია, რომ დირექტორები და სასწავლო ნა-

წილის გამგეები სუსტ კონტროლს უწევენ მასწავლებელთა მუშაობას, რის გამოც ისინი ზოგჯერ მოსწავლეთა ცოდნას ლიბერალურად აფასებენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გაუქმდეს საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს დადგენილებები რ. შარაბიძის (თეთრი წყაროს რაიონი, ასურეთის საშ. სკოლა), ნ. ოქრიაშვილის (ბოლნისის რ-ნი, განთიადის საშ. სკოლა), ა. დოლიძის (ჩოხატაურის რაიონი, ხიდისთავის საშ. სკოლა), ზ. დემეტრაძის (მაიაკოვსკის რაიონი, ობჩის საშ. სკოლა), ვ. ჩიჩიანის (თბილისის 45-ე საშ. სკოლა), ნ. სეხნიაშვილის (სიღნაღის რაიონი, არბოშიკის საშუალო სკოლა), ნ. მეგრელიშვილის (წულუკიძის სკოლა-ინტერნატი), ე. ამბარცუმაშვილის (ხრამჰესის საშუალო სკოლა), ლ. ქამუშაძის (საჩხერის რაიონი, ქორეთის საშ. სკოლა), მ. ჯღარკავას (გეგეჭკორის რაიონი, ნაგვაზაოს საშ. სკოლა), ნ. მუკბანიანის (ლენტეხის რაიონი, ჩოლურის საშ. სკოლა), გ. გეგიაძის (ლანჩხუთის III საშ. სკოლა), დ. თოდუას (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშ. სკოლა) მედლებით დაჯილდოების შესახებ და მათ მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშების ატესტატები.

განათლების განყოფილებებმა 1965 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყონ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემული ოქროსა და ვერცხლის მედლის ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატის მიღება.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის დირექტორებს: დ. ბექაურს (თეთრი წყაროს რაიონი, ასურეთის საშ. სკოლა), თ. აკრიტოვს (ბოლნისის რაიონი, განთიადის საშ. სკოლა), ა. კალანდაძეს (ჩოხატაურის რაიონი, ხიდისთავის საშ. სკოლა), ბ. ცქიტიშვილს (მაიკოვსკის რაიონი, ობჩის საშ. სკოლა), ვ. სენოჟენსკაიას (თბილისის 45-ე საშ. სკოლა), შ. მოლაშვილს (სიღნაღის რაიონი, არბოშიკის საშ. სკოლა), ს. ჭოლოკავას (წულუკიძის სკოლა-ინტერნატი), ი. ფოტოვს (ხრამჰესის საშ. სკოლა), ა. ცერცვაძეს (საჩხერის რ-ნი, ქორეთის საშ. სკოლა), ი. ბერიას (გეგეჭკორის რაიონი, ნაგვაზოს საშ. სკოლა), შ. გარდაფხაძეს (ლენტეხის რაიონი, ჩოლურის საშ. სკოლა), ი. მიქაძეს (ლანჩხუთის III საშ. სკოლა), ვ. ჯღარკავას (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშ. სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

3. საგნის არადამაკმაყოფილებელი სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის მასწავლებლებს: გ. ხიდურელს (თეთრიწყაროს რაიონი, ასურეთის საშ. სკოლა), თ. მახათაშვილს (ბოლნისის რაიონი, განთიადის საშ. სკოლა), გ. ჩიგოგიძეს (ჩოხატაურის რაიონი, ხიდისთავის საშ. სკოლა), დ. მჭედლიძეს (მაიაკოვსკის რაიონი, ობჩის საშუალო სკოლა), ი. კოხნაველს (თბილისის 45-ე საშუალო სკოლა), ვ. თარაშვილს (სიღნაღის რაიონი, არბოშიკის საშ. სკოლა), ლ. რუხაძეს (წულუკიძის სკოლა-ინტერნატი), გ. სავიდს (ხრამჰესის საშ. სკოლა), პ. ბერიძეს (საჩხერის რაიონი, ქორეთის საშ. სკოლა), ნ. ჯღარკავას (გეგეჭკორის რაიონი, ნაგვაზაოს საშუალო სკოლა), ნ. ბაბლუანს (ლენტეხის რაიონი, ჩოლურის საშ. სკოლა), თ. ხუხუნაიშვილს (ლანჩხუთის III საშ. სკოლა), შ. თოდუას (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშ. სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებებმა შეისწავლონ 1963/64 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დასახელებულ სკოლებში შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები იმ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას და ამ მხრივ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1964 წლის პირველ აგვისტომდე.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე დადაისახოს საჭირო ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

7. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში".

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 11 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 48 ОТ 15 ЯНВАРЯ 1965 ГОДА

## о состоянии и мерах улучшения преподавания русского языка и литературы в нерусских школах Грузинской ССР

Проверка состояния преподавания и качества знаний по русскому языку и литературе в грузинских школах показала, что преподаванию данного предмета в школах Республики уделяется серьезное внимание. Пересмотрены и переработаны учебные планы и программы для всех ступеней школ; составлены новые методические указания о видах, количестве, порядке проверки и нормах оценки устных и письменных работ по русскому языку и литературе в нерусских школах Грузинской ССР; ежегодно проводятся педагогические чтения, в которых принимают участие учителя русского языка и литературы школ Республики. Систематически проверяется состояние преподавания русского языка и литературы в школах и оказывается необходимая помощь преподавателям; результаты этой проверки обсуждаются на городских и районных совещаниях.

Состав преподавателей русского языка и литературы ежегодно пополняется новыми кадрами—выпускниками высших педагогических учебных заведений. Учителя русского языка и литературы систематически повышают свою квалификацию на курсах усовершенствования учителей. С 1960 по 1964 год в Институте усовершенствования учителей прошли переподготовку 1014 учителей русского языка и литературы. Из общего количества 4048 учителей русского языка и литературы V—XI классов 3000 учителей имеют высшее специальное образование.

Во многих школах учителя русского языка и литературы добиваются высокой успеваемости учащихся (В. В. Габашвили, Л. А. Хотелашвили, Н. С. Гиоргобиани (г. Тбилиси); Ф. Рижинашвили, С. Шембель, М. Геденидзе, М. Бузиашвили (г. Кутаиси); Д. Кинкладзе, В. Цителадзе, Т. Двалишвили (Аджарская

АССР); Д. Аслибекова, А. Далакишвили, Д. Коридзе (г. Рустави), Е. Санакоева, А. Морозова, М. Осиашвили, Т. Какулия (Кварельский район); К. Кварцхава, М. Квирквелия (Цхакаевский район); И. Капанадзе, Ш. Чумбуридзе (Зестафонский район); Н. Асриев, М. Новосельцева, С. Будагов, (Тетрицкаройский район); А. Авсаджанишвили, Т. Лознева, Т. Данилов (Душетский район); В. Рыбальченко (Болнисский район); С. Ягубова, М. Катамадзе (Сигнахский район); К. Заниери, И. Хазанов (Боржомский район); Н. Гаситашвили (Ахалцихский район) и др.

Вместе с тем проверкой установлено, что в ряде школ, особенно сельских, состояние и качество знаний учащихся по русскому языку и литературе остаются неудовлетворительными (Сачхерский, Тетрицкаройский, Кварельский, Болнисский, Марнеульский и другие районы).

Многими преподавателями русского языка медленно осуществляется перестройка преподавания, усиление практической направленности в занятиях. Вместо активных форм развития речи, упражнения в построении предложений, на основе связи преподавания языка с литературным материалом, они ограничиваются одними определениями, заучиванием правил и готовых примеров, почти полностью исключают лексическую работу (Куридзе И. А. Кикава Г. Ю., Гогичаишвили Ж. С. (Аджарская ССР); Саришвили Л. К., Анатольева К. В., Учанеишвили Э. А. (Душетский район); Цакадзе И. М., Кашибадзе К. И. (Зестафонский район), Малхасян Э. И., Беридзе А. Л. (Тетрицкаройский район); Наврозашвили З. И. (Сигнахский район); Джишкариани (Сачхерский район) и др.

Одной из причин недостаточной грамотности учащихся следует считать отсутствие у большинства преподавателей упорной и систематической работы по закреплению знаний, особенно по повторению пройденного материала.

В большинстве школ нарушаются нормы оценок письменных работ и устных ответов учащихся. Классные и домашние письменные работы проверяются нерегулярно, не проводится соответствующая работа над исправлением ошибок (М. Е. Беришвили, Г. А. Сирбиладзе, Г. Г. Мчедлидзе, Л. С. Ахобадзе (г. Тбилиси); Эсартия Т. В., Гурцкая В. Н. (Цхакаевский район), Нинуа Б., Мирзоев М. (Кварельский район); Гогичайшвили Ж.,

Инцкирвели Т. (Аджарская АССР); Анатольева К. (Душетский район) и др.

Неудовлетворительно преподается русский язык в начальных классах многих школ. Некоторые учителя начальных классов недостаточно владеют русским языком и методикой преподавания (М. Копадзе, Л. Д. Диасамидзе, П. Г. Дочвири (г. Тбилиси); Д. Сухиашвили (Сачхерский район), С. Татарадзе, (Болнисский район), А. Нариндошвили, К. Бутлиашвили (Сигнахский район), Арунашвили, Т. Нозадзе (Тетрицкаройский район и др).

Часть учителей русского языка и литературы слабо владеет предметом и недостаточно работает над повышением своей квалификации.

В ряде школ плохо поставлена внеклассная работа. Литературные кружки являются единственной формой внеклассной работы. Многими учителями не используются часы, отведенные программой для бесед по внеклассному чтению. Не проводятся такие мероприятия, как литературные утренники и вечера, читательские конференции, выпуск стенгазет и т. п.

В некоторых школах методические объединения учителей русского языка и литературы существуют формально, не ведется работа в соответствии с Приказом Министерства просвещения Грузинской ССР от 20 июля 1961 года „О методической работе учителей общеобразовательных школ" (Рачисубанская, Диди-Дманисская средние школы Болнисского района, Вакирская средняя школа Сигнахского района, Кирцхская средняя школа Цхакаевского района и др.).

В школах не используются имеющиеся возможности (проведение открытых уроков, взаимное посещение уроков, помощь начинающим преподавателям и т. п.).

Со стороны отделов народного образования слабо контролируется преподавание русского языка и литературы, часто этот контроль носит формальный характер.

Директора и заведующие учебной частью некоторых школ плохо ознакомлены с программными требованиями по русскому языку и литературе и поэтому не могут оказывать необходимую помощь учителю (Боржомская, Цагерская средние школы, средняя школа в Вале, Амбролаурская 2-ая школа, Зестафонская средняя школа № 4, Амбролаурский район (Садмели, Хотеви), Ананурская средняя школа, Душетская школа-интернат и др.).

В ограниченном количестве издается методическая литература в помощь учителям русского языка и литературы; в школах нет сборников диктантов и упражнений, наглядных пособий для учащихся.

Библиотеки школ недостаточно снабжены соответствующей художественной литературой на русском языке.

Научно-исследовательский институт педагогических наук и Институт усовершенствования учителей недостаточно изучают и распространяют передовой опыт лучших преподавателей русского языка и литературы, в недостаточном количестве печатаются труды и методические разработки по русскому языку и литературе. Лекции на курсах переподготовки учителей часто носят языковедческий и литературоведческий характер и не вооружают преподавателей методикой преподавания языка и литературы.

В целях улучшения преподавания русского языка и литературы в грузинских школах Республики, ПРИКАЗЫВАЮ:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующему Юго-Осетинской А/О, заведующим районными и городскими отделами народного образования принять необходимые меры для коренного улучшения преподавания русского языка и литературы в школах Грузинской ССР, направить работу педагогических кабинетов, директоров школ и преподавателей русского языка и литературы на неуклонное выполнение указаний ЦК КП Грузии и быстрейшее устранение имеющихся недостатков.

С этой целью:

а) усилить контроль и методическую помощь в преподавании русского языка и литературы в нерусских школах Республики;

б) изжить практику формально-грамматического обучения русскому языку. Добиться, чтобы уроки русского языка строились на основе творческого применения эффективных, проверенных на практике методов преподавания, с максимально рациональным использованием времени, широким применением наглядности и современных технических средств. На занятиях больше внимания уделять практическим заданиям, обеспечивающим глубокое овладение учащимися устной и письменной речью;

в) улучшить работу методических объединений. Особое внимание уделять взаимному посещению уроков, проведению откры-

тых уроков и оказанию постоянной помощи начинающим преподавателям;

г) улучшить внеклассную работу. Особое внимание уделить внеклассному чтению, проведению литературных утренников и вечеров, читательских конференции, выпуску стенных газет на русском языке и т. д.

д) обеспечить школы наглядными пособиями; принять меры для пополнения школьных библиотек необходимой методической литературой для учителей и детской художественной литературой на русском языке;

е) укрепить отделы народного образования и педагогические кабинеты высококвалифицированными специалистами русского языка и литературы;

ж) учителей начальных и старших классов, не имеющих соответствующего образования и слабо владеющих русским языком, переподготовить или заменить квалифицированными кадрами.

2. Н/И Институту педагогических наук:

а) направить всю исследовательскую работу в области методики преподавания русского языка и литературы в грузинской школе на разработку актуальных проблем теории и практики обучения, на изучение и обобщение опыта передовых учителей русского языка и литературы;

б) в 1965 году создать сборники диктантов, изложений, упражнений по морфологии и синтаксису, орфографический словарь русского языка для грузинских школ, методическое руководство для учителей начальных классов, а к 1966 году—полный курс методики преподавания русского языка и литературы в грузинской школе. В решение этих задач вовлечь соответствующие кафедры ВУЗ-ов, работников других научных учреждений и передовых учителей-практиков;

в) обеспечить составление наглядных пособий по русскому языку (по развитию речи, по грамматике и правописанию).

3. Институту усовершенствования учителей:

а) пересмотреть учебные планы и программы курсов, больше внимания уделять повышению уровня языковых знаний педагогов;

б) подготовить вопрос об организации долгосрочных курсов усовершенствования для преподавателей русского языка и литературы нерусских школ;

в) систематически изучать, обобщать и внедрять в практику опыт работы передовых учителей русского языка и литературы нерусских школ;

4. Отделу учебников Министерства просвещения Грузинской ССР выработать основные принципы в составлении новых, более совершенных учебников русского языка и литературы для грузинских школ и обеспечить их составление, вовлекая в это дело ученых, хорошо знающих школу, методистов и передовых учителей-практиков; провести открытые конкурсы по составлению новых учебников, точно установив их объем и в течение ближайших 2-х—3-х лет обеспечить издание для грузинской средней школы учебников по грамматике русского языка (I ч. по фонетике и морфологии и II ч. по синтаксису), сборника диктантов по классам, сборников упражнений по фонетике, морфологии, синтаксису и орфографического словаря для учащихся.

5. Просить Государственный Комитет печати Совета Министров Грузинской ССР:

а) увеличить план выпуска методической литературы на русском языке;

б) расширить издание специально отредактированной со знаками ударения и разъяснениями, художественной литературы на русском языке для внеклассного чтения учащихся нерусских школ республики.

6. Отделу кадров Министерства просвещения Грузинской ССР:

а) пересмотреть личный состав учителей русского языка и литературы и укомплектовать нерусские школы Республики соответствующими кадрами преподавателей;

б) уточнить список учителей русского языка и литературы, нуждающихся в переподготовке на долгосрочных курсах.

7. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР и отделу просвещения Юго-Осетинской А/О повысить требовательность при подборе и назначении учителей русского языка и литературы.

8. Редакциям газеты „Сахалхо Ганатлеба“ и журнала „Скола да Цховреба“ систематически освещать передовой педа-

гогический опыт, организовать широкое обсуждение действующих программ и учебников с точки зрения их практической целенаправленности, соответствия современным научно-теоретическим и педагогико-методическим требованиям.

Министр
просвещения Грузинской ССР Т. **Лашкарашвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი
16 იანვარი 1965 წ.

# სასწავლო გეგმა

## საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისტემის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—II კლასებისათვის

1964-65 სასწავლო წელი

| №№ რიგ. | სასწავლო საგნები | კვირეული საათების რაოდენობა კლასების მიხედვით | | ს უ ლ I-II კლ. |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | |
| 1. | ქართული ენა | 12 | 9 | 21 |
| 2. | რუსული ენა | — | 5 | 5 |
| 3. | არითმეტიკა | 8 | 6 | 14 |
| | ს უ ლ | 20 | 20 | 40 |

შენიშვნა: 1. აღნიშნულ კლასებში სასწავლო წელი იწყება 1-ლ სექტემბერს და მთავრდება 25 მაისს;

2. სასწავლო კვირეების რაოდენობა და მეოთხედების დაწყება-დამთავრების ვადები იგივეა, რაც საღამოს სკოლების დანარჩენ კლასებში;

3. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტარდება მხოლოდ საზამთრო არდადეგები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 18 იანვრის ბრძანება № 54

### აფხაზეთის ასსრ საღამოს (ცვლის) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების თაობაზე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის შესახებ

როგორც შემოწმებამ ცხადყო, აფხაზეთის ასსრ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ასე, მაგალითად, გაგრის რაიონის ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის და გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ხაალგაზრდობის საშუალო სკოლების დირექტორები და ზოგიერთი მასწავლებელი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, გულდასმით არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სათანადო აღმზრდელობით მუშაობას არ ატარებენ მოსწავლეთა შორის, რის გამო მეტად დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში.

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასმული ამოცანების განსახორციელებლად საკმაო ღონისძიებებს არ ატარებენ გაგრისა და გულრიფშის რაიონების განათლების განყოფილებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი „აფხაზეთის ასსრ (საღამოს ცვლის) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ“ კოლეგიაზე განსახილველად და საჭირო ღონისძიებების გასატარებლად გადაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ განათლებლის სამინისტროს (იბეჭდება აქვე);

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ბ. გ. თარბას განხილვის შედეგებისა და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

**აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის, გაგრისა და გულრიფშის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადამ სასკოლო ინსპექტორების ზურაბ ივანეს ძე რატიშვილის, ვლადიმერ ყაისარის ძე ტუღუშისა და საღამოს სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტის შოთა სეითის ძე ნაცვლიშვილის შემადგენლობით მიმდინარე წლის 16-დან 26 დეკემბრამდე შეისწავლა აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის, გაგრისა და გულრიფშის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა: შესწავლილი იქნა ქ. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მე-2 და მე-3 (დირექტორები რ. მ. ჭაჭია, ე. კ. ხაკბა), გაგრის რაიონის ქ. გაგრის მუშა ახალგაზრდობისა (დირექტორი ს. ნ. ეფრემოვა) და ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის (დირექტორი გ. კოპეშავიძე), გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის (დირექტორი შ. ე. დოჩია) საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. სოხუმის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ლ. უჩანეიშვილმა, გაგრის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა ნ. კეშელავამ და გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა ამხ. შ. შენგელიამ.

ქ. სოხუმის, გაგრისა და გულრიფშის რაიონების განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. ლ. უჩანეიშვილს, ვ. თორდუასა და კ. დადიანს) მიმდინარე სასწავლო წელს შეუსწავლიათ ამ ტიპის სკოლების მუშაობა, სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განუხილავთ საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწ-

მების შედეგები და დაუსახავთ სათანადო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შემოწმებული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში აქვთ ერთგვარი წარმატებანი. სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ეკიდება მათზე მინდობილ საქმეს, სისტემატურად მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული დონის ასამაღლებლად, და სათანადო წარმატებებს აღწევენ მუშაობაში, მოსწავლეებს აძლევენ მტკიცე ცოდნა-ჩვევებს და ა. შ.

ქ. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მეორე და მესამე და გაგრის რაიონის ქ. გაგრის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების დირექტორები რ. ჭაჭია, ე. ხაკბა, ს. ეფრემოვა და სასწავლო ნაწილის გამგეები ტ. ქუთათელაძე, ა. ნარსია, ა. გორაშკოვა ჯეროვან ყურადღებას აქცევენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. სკოლის წლიური და კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურ სამუშაო გეგმებში ასახულია ამ ტიპის სკოლების სპეციფიკურობა. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ დასახელებული სკოლების პედაგოგიური საბჭოები. სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი შესრულებულია. ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ კლასის ხელმძღვანელები. წესრიგშია საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები; საშუალო განათლების ატესტატებისა და 8 კლასის დამთავრების მოწმობების აღრიცხვისა და გაცემის წიგნები და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა გაგრის რაიონის ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობისა (დირექტორი გ. კოპეშავიძე) და გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის (დირექტორი შ. დოჩია) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები. დიდია მოსწავლეთა მოძრაობა. მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების სისტემატური გაცდენების და სკოლაში გამოუცხადებლობის შედეგად მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში დაიხურა V კლასი 12 მოსწავლით, ასევე გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული სექტორის VIII კლასი 8 მოსწავლით დახურულა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში.

1964 წლის I/IX-დან დღემდე გაგრის რაიონის ბიჭვინთის, ქ. სოხუმის მეორე და მესამე მუშა. ახალგაზრდობისა და გულრიფშის

სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს ჩამოსცილდა 147 მოსწავლე.

სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლის ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს მუშაობის პარალელურად სწავლას, რადგან წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები სწავლებაში ჩაბმულ მუშებს არ უქმნიან მუშაობის ნორმალურ პირობებს; არ გადაყავთ ისინი დღის ცვლის სამუშაოებზე ან აგზავნიან შორეულ სამუშაოებზე.

სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, სკოლების ხელმძღვანელებს და პედაგოგიურ კოლექტივებს სათანადო კავშირი არ აქვთ დამყარებული ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, რის შედეგად ადგილებზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233, 1962 წლის 27 ივლისის № 773 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 19 დეკემბრის № 976 დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას; შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ სარგებლობს მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით.

სკოლებში ადგილი აქვს მეორე და მესამე გაკვეთილებზე მოსწავლეთა დაგვიანებით გამოცხადებასა და ზოგჯერ სკოლაში გამოუცხადებლობასაც; ასე, მაგალითად: გაგრის რაიონის ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში 18 დეკემბერს VIII კლასის 17 მოსწავლიდან სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ 5 მოსწავლე, ამათგან 2 მოსწავლე მოვიდა მეორე გაკვეთილზე. ამავე სკოლის IX კლასის 24 მოსწავლიდან გამოცხადდა 9, უფრო მეტი: 24/XII გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის რუსული სექტორის VI კლასის 7 მოსწავლიდან გამოცხადდა მხოლოდ ერთი მოსწავლე და ისიც მეორე გაკვეთილიდან გაიპარა. ამავე სკოლის ქართული სექტორის X კლასის 8 მოსწავლიდან სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ 2 მოსწავლე, მეორე გაკვეთილიდან გაიპარა 1, რუსული სექტორის IX კლასის 21 მოსწავლიდან სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ 10, მეორე გაკვეთილიდან გაიპარა 8 მოსწავლე. აღნიშნული ფაქტები მეტყველებენ სკოლის პედკოლექტივებისა და კლასის ხელმძღვანელების სუსტ მუშაობაზე. აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმის, გაგრისა და გულრიფშის რაიონების განათლების განყოფილებებთან არაა ჩამოყალიბებული მუდმივ ხელისშემწყობი კომისიები.

ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში ადგილი

ჰქონია უსინათლობის გამო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. სკოლის ხელმძღვანელობას ეს მდგომარეობა არ გაუთვალისწინებია და შემოწმების დღესაც არ ჰქონდა შეძენილი ლამპები.

ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის სკოლისათვის არ არის ცნობილი, რომ საღამოს სკოლები სარგებლობენ მხოლოდ საზამთრო არდადეგებით, და უსარგებლიათ საშემოდგომო არდადეგებით, რაზედაც მიეთითა განათლების განყოფილებას.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა გაგრის რაიონის ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობისა და გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში.

მოუვლელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ბიჭვინთის სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს გ. რუჟკოვას, ტ. მიგაჩევას, ვ. ლოგინოვს და გ. პროშინას არ გააჩნიათ პირადი საქმეები.

სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლის XI კლასში მასობრივი სკოლიდან ჩარიცხულია ოთხი მოსწავლე, რომელთაც პირად საქმეში არ აღმოაჩნდათ ცნობები სამუშაო ადგილიდან. როგორც ბიჭვინთის, ისე გულრიფშის საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს პირად საქმეებში არ გააჩნიათ დაბადების მოწმობები, ცნობები სამუშაო ადგილიდან და 8 კლასის დამთავრების მოწმობები.

მოუვლელია საკლასო ჟურნალები. მათში არ შეაქვთ დამუშავებული მასალა, არ ჯამდება გაცდენილი გაკვეთილები. დასახელებული სკოლები რეაგირებას არ ახდენენ მოსწავლეთა გაცდენებზე; ამის გამოა, რომ სკოლაში დისციპლინა არასახარბიელო სიმაღლეზე დგას, ხშირია მოსწავლეთა გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები. მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი სკოლაში ცხადდება II-III გაკვეთილებზე, ხოლო ზოგიერთი მასწავლებელი საკლასო ჟურნალში განზრახ არ აღნიშნავს მოსწავლეთა გამოუცხადებლობას სკოლაში, რითაც ხელოვნურად ამცირებს გაცდენილი გაკვეთილების რიცხვს. ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას სექტემბერსა და ოქტომბერში არ შეუჯამებია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. ამის გამო სკოლის მიერ განათლების განყოფილებაში წარდგენილი სტატისტიკური ანგარიში პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა მოთავსებულია მასობრივი 8 წლიანი სკოლის შენობაში, რომელსაც არ გააჩნია არავითარი სასწავლო კაბინეტები, ამის გამო სკოლა მეცადი-

ნეობას აწარმოებს ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. ანაწი ნული სკოლების კლასის ხელმძღვანელების სააღმზრდელო სამუშაო გეგმებში არაა ასახული ამ ტიპის სკოლების თავისებურება. ისინი ერთიმეორის ასლს წარმოადგენენ და აკლიათ კონკრეტულობა.

არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. გაგრისა და ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, ადგილი აქვს მათემატიკას, რუსულ და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საათების დაწყვილების შემთხვევებს. გაგრის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში უცხო ენის გაკვეთილები ტარდებოდა ორ-ორ კლასთან ერთად.

გაგრის რაიონის ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა საშუალო განათლების ატესტატებისა და 8 კლასის დამთავრების მოწმობების აღრიცხვასა და გაცემას აწარმოებს ერთ წიგნში; რომელიც დაუნომრავია, ზონარგაუყრელი და შეუმოწმებელია განათლების განყოფილების მიერ. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაშიც. 18 დეკემბრისათვის სკოლას გაუცემელი აღმოაჩნდა 6 შეუვსებელი და 4 შევსებული 8 კლასის დამთავრების მოწმობა.

ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას შემოწმების დღეს მოუგვარებელი და შეუვსებელი ჰქონდა გასული, 1963/64 სასწავლო წლის მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალები. სკოლას არ გააჩნია ყოველდღიური მუშაობის ამსახველი დღიური. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის შემადგენლობაში რატომღაც შედის სომხური სექტორის სამი IX—X—XI კლასები, რომელიც ჩამოყალიბებულია გულრფშიდან 20 კილომეტრის დაშორებით ზემო ბურსის რუსულ რვაწლიან სკოლასთან. ამასთან, მათთან სამუშაოდ გამოყოფილი არიან ზემო ბურსიდან 3 კილომეტრის დაშორებით მდებარე სომხური რვაწლიანი სკოლის მასწავლებლები. ერთი სიტყვით, ეს კლასები უპატრონოდ არიან მიტოვებულნი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლის დირექტორმა ამხ. შ. დოჩიამ არ იცის სომხური, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ნ. შევჩენკომ არც სომხური და არც ქართული ენა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ გაგრის რაიონის ბიჭვინთის მუშა ხალგაზრდობისა და გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოები. ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას შედ-

გენილი არ ჰქონდა პედსაბჭოს სამუშაო გეგმა; ჩატარებული პედსაბჭოს პირველი სხდომა არაა დათარიღებული, ხოლო სხდომაზე განხილული საშემოდგომო გამოცდების შედეგებში მოცემული არაა ანალიზი გასული სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ. მეორე სხდომაზე განუხილავთ სასწავლო-აღმზრდელობითი და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის საკითხი, მაგრამ არც ერთი კლასის ხელმძღვანელისა და საგნის მასწავლებლის მუშაობა არ არის გაანალიზებული.

იგივე ნაკლოვანებები შეინიშნება გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში. დეკემბრამდე სკოლას არ გააჩნდა პედსაბჭოს საოქმე წიგნი. პედაგოგიური საბჭოს ორი სხდომის ოქმი დაწერილი იყო რვეულში და უბრალო ფურცლებზე. დეკემბერში შეძენილი საოქმე წიგნი დაუნომრავი, ზონარგაუყრელი, დაულუქავი და შეუმოწმებელი იყო განათლების განყოფილების მიერ. პედსაბჭოს ოქმებს ხელს არ აწერენ არც დირექტორი და არც მასწავლებლები.

სკოლებში სუსტია კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისადმი. ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს გ. კოპეშავიძეს შემოწმების დღისათვის არ ჰქონდა მოსმენილი არც ერთი გაკვეთილი. გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს მოსმენილი აქვს 20 გაკვეთილი, მაგრამ მოსმენილი გაკვეთილის ანალიზი დაბალხარისხოვანია. ანალიზში არაა მოცემული, თუ რა მეთოდი გამოიყენა მასწავლებელმა ან როგორი ცოდნა გამოამჟღავნა კლასმა. მომავალში, საგნის სწავლების უკეთ დაყენების მიზნით, მასწავლებლებს არ აძლევს არავითარ მითითებას.

გულრიფშის რაიონის გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ადმინისტრაციისა და მთელი პედაგოგიური კოლექტივის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის დამადასტურებელ ფაქტად ისიც საკმარისია, რომ მათ პირველი მეოთხედის შედეგები დაამთავრეს სამარცხვინო მაჩვენებლებით; ასე, მაგალითად, ქართული სექტორის X კლასის აკადემიური მოსწრება მხოლოდ 14% უდრის. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ სკოლის სხვა კლასებშიც. პირველი მეოთხედის აკადემიური წარმატება დაბალია აგრეთვე ქ. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მესამე საშუალო სკოლაში, ასე, მაგალითად. ქართული სექტორის მერვე და მეათე კლასის აკად. წარმატება 50%, ხოლო რუსული სექტორის მეათე კლასის—43% უდრის.

გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი და სასკოლო-საორგანიზაციო მუშაობა მიმ-

დინარე სასწავლო წლის ნოემბერში შეუსწავლია გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილებას, შემოწმების შედეგები გაუტანია რაიალმასკომის სხდომაზე. უნდა აღინიშნოს, რომ განათლების განყოფილებას ზერელედ შეუსწავლია სკოლა და სკოლის ადმინისტრაციისა და მთელი პედკოლექტივისათვის არ მიუთითებია სკოლაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ვინაიდან, ერთი თვის შემდეგ, 24/XII სკოლაში ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს ჩვენ ვერ აღმოვაჩენდით. ალმასკომის დადგენილებაში კი გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის არსებულ ნაკლოვანებებზე არაფერია ნათქვამი.

## ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ

დამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა გაგრის რაიონის გაგრისა და ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში მასწავლებლები გ. ბახია, გ. ანასოვა და ვ. სივჩიკი გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის და სათანადო დონეზე ატარებენ მას. მოხერხებულად ატარებენ კოლექტიურ და დამოუკიდებელ მუშაობას, იყენებენ თვალსაჩინოებას, აწარმოებენ ზეპირ და ნახევრად წერით მეცადინეობას, ნორმის დაცვით ატარებენ საკონტროლო წერებს, წერის მასალა დოზირებულია და გასწორების ხარისხი დამაკმაყოფილებელი.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული გეოგრაფიის სწავლება გაგრის რაიონის გაგრისა და ქ. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მეორე და მესამე საშუალო სკოლებში (მასწავლებლები: გ. ფაჩულია, შ. კაკულია და თ. კაკულია). დასახელებული მასწავლებლები დაუფლებულნი არიან გეოგრაფიის საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. ისინი გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, სწავლებაში შეძლებისდაგვარად იყენებენ თვალსაჩინოებას და ცდილობენ მოსწავლეებს გაკვეთილზევე შეასწავლონ ახალი მასალა. გეოგრაფიის სწავლებაში უფრო მეტი მიღწევები იქნება თუ სკოლა და თვით საგნის მასწავლებლები მოიმარაგებენ თვალსაჩინოებისათვის სრულყოფილ მასალას და მეტ დროს დაუთმობენ ახალი მასალის ახსნისა და ცოდნის განმტკიცებას გაკვეთილზევე, აგრეთვე ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდებიან მოსწავლეების პრაქტიკულ ვარჯიშს კონტურულ რუკებზე და მასალის მიხედვით დიაგრამების შედგენას.

ასევე დამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა გაგრის (მასწავლებელი ს. ეფრემოვა), ბიჭვინთის (მასწავლებელი ზ. აგრბა, ვ. რევინა), სოხუმის მეორე (მასწ. რ. ჭაჭია), და მუშა ახალგაზრდობის მესამე (მასწ. შ. აქბარდია,

გ. მელია) საშუალო სკოლებში. დასახელებული მასწავლებლები გარკვეულნი არიან ამ ტიპის სკოლების თავისებურებაში, გაკვეთილებზე იყენებენ სათანადო თვალსაჩინოებას და, რაც მთავარია, გაკვეთილებზევე ახერხებენ ახალი მასალის განმტკიცებას.

რიგ სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გეომეტრია ბიჭვინთის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი რ. ლობჯი). მოსწავლეები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ რომბსა და პარალელოგრამს. მასწავლებელს „მართკუთხედის ფართობის" ახსნისას არ გამოუყვანია ფართობის ფორმულა, ის დაკმაყოფილდა მხოლოდ მზა ფორმულის დაწერით. გაკვეთილზე სავსებით უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. გაგრის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელმა გ. ცინცაბაძემ შემოწმების დღეს ჩაატარა ალგებრის გაკვეთილი, სადაც გამოირკვა, რომ მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის. ის ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას. არ ექიდება ყურადღებით ზეპირ მეცადინეობას. მოსწავლეებმა ალგებრული მასალის ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს, არ ესმით ფრჩხილების დანიშნულება და უადგილოდ ხმარობენ მათ. გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწ. ქ. ღვინიანიძე) ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დაამტკიცა გაკვეთილად მიცემული თეორემა „პარალელოგრამის დიაგონალების ჯამი უდრის მისი გვერდების კვადრატების ჯამს". მოსწავლეები შეჩვეული არიან მასწავლებლის კარნახს და ისიც ყველა დასმულ კითხვაზე თვითონვე პასუხობს. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის III საშუალო სკოლის X და XI კლასებში (მასწავლებლები გ. დავიდოვა და ვ. ლობჟანიძე) შემოწმების დღეს მათემატიკაში ჩატარებული საკონტროლო წერა ატარებდა ფორმალურ ხასიათს. წერის დროს არ იყო დაცული დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო პირობები, მეტიც: რიგ შემთხვევაში თვითონ მასწავლებლებიც ეხმარებოდნენ მოსწავლეებს; დადიოდნენ მერხებს შორის და აძლევდნენ მითითებებს — მასწავლებელმა ლობჟანიძემ საწერ თემასთან დაკავშირებული გეომეტრიული ნახაზიც კი მისცა მოსწავლეებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა ქ. სოხუმის მეშა ახალგაზრდობის მეორე (მასწ. ქ. ხვიტია და ქ. გულუა) გულრიფშის სოფლის ახალგაზრდობის (მასწ. ი. კილასონია) საშუალო სკოლებში. გულრიფშის საშუალო

სკოლის X კლასში ახალი ისტორიის შესწავლა უნდა დაემთავრებიათ პირველ მეოთხედში და მეორე მეოთხედში უნდა დაეწყოთ სსრ კავშირის ისტორიის შესწავლა. შემოწმებისას მასწავლებელი X კლასში ისევ ახალი ისტორიის კურსს გადიოდა. მასწავლებლები ი. კილასონია, კ. ხვიტია და ქ. გულუა არ არიან გარკვეულნი ამ ტიპის სკოლების სპეციფიკურობაში.

ქ. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ქ. გულუა) თემის „იმპერიალისტური იაპონიის განადგურება“ გამოკითხვისას ძლიერ დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს. ამავე კლასში თემას „საქართველო დიდი სამამულო ომის პერიოდში“ ახსნას მასწავლებელმა მხოლოდ და მხოლოდ 5 წუთი მოანდომა, არ შეხებია თემის ძირითად საკითხებს, არ გამოუყენებია არავითარი თვალსაჩინოება. ამავე სკოლის XI კლასში საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილზე მოსწავლეებმა საგნის ზერელე ცოდნა გამოამჟღავნეს. მასწავლებელმა კ. ხვიტიამ ორი მოსწავლის გამოკითხვას 28 წუთი მოანდომა და მიუხედავად იმისა, რომ სანახევროდ თვითონვე პასუხობდა მის მიერვე დასმულ კითხვებზე, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. გაკვეთილის უმეტესი დრო მოანდომა ძველი მასალის გამოკითხვას, ახალი მასალის ახსნა ბოლომდე ვერ მოასწრო. დასახელებული სკოლის მოსწავლეებმა ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში გამოამჟღავნეს არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების ბრიგადა: **ზ. რატიშვილი**
**ვ. ტუღუში**
**შ. ნაცვლიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 18 იანვრის ბრძანება № 58

### საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

განვიხილე რა საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების შემოწმების მასალები, აღვნიშნავ რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში დასახულია ამოცანა ახლო მომავალში განვახორციელოთ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სავალდებულო საშუალო განათლება. ხოლო ამ ამოცანის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა ბავშვისათვის საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განუხრელად გატარებას.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში გაწეულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ არსებული კანონის შესასრულებლად, რის შედეგადაც მიღწეულია მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება და მისი შენარჩუნება. ამ მხრივ გამოირჩევიან ქალაქები ქუთაისი, სამტრედია, თელავი; რაიონები სამტრედია, წულუკიძე, ზუგდიდი, მახარაძე, ლანჩხუთი და სხვ.

მიუხედავად ამისა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის გატარების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბავშვთა დიდი ნაწილი ვერ ამთავრებს რვაწლიან სკოლას; ასე, მაგ. 1957/58 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლების პირველ კლასებში ჩარიცხულთაგან მიმდინარე სასწავლო წელს მე-8 კლასებში სწავლას აგრძელებს მხოლოდ 75,1%. ამ მხრივ უფრო მძიმე მდგომარეობაა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და ცალკეულ რაიონებში. 1957/58 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებულთაგან მიმდინარე სასწავლო წელს VIII კლასში სწავლობენ აფ-

ხაზეთის ასსრ-ში 9906-დან—6713 (69,9%), აჭარის ასსრ-ში 6644-დან 4693 (70,1%), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 2690-დან 1628 (60%), ჩოხატაურის რაიონში 854-დან-598 (69,7%), ლენტეხის რაიონში 447-დან-280 (62,5%), მესტიის რაიონში 507-დან-297 (58,8%), მესტიის რაიონში 507-დან-297 (58,8%), ახმეტის რაიონში 1120-დან-644 (57,5%), წალენჯიხის რაიონში 988-დან-554 (56,5%), ყაზბეგის რაიონში 219-დან-114 (52%), და ა. შ.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების ნაწილი საჭირო ღონისძიებას არ ატარებს სასკოლო ასაკის ბავშვთა უკლებლად სწავლებაში ჩასაბმელად, რის გამო ვერ სრულდება სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. გეგმის შესრულებას აკლია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1441, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში—520, თეთრიწყაროს რაიონში-660, ყვარლის რაიონში-436, ქ. თბილისში-386, ახალქალაქის, რაიონში—348, ბოლნისის რაიონში—162, გურჯაანის რაიონში—137 მცხეთის რაიონში—120, გეგეჭკორის რაიონში—115, თელავის რაიონში—161, მესტიის რაიონში—107, საგარეჯოს რაიონში—100, წყალტუბოს რაიონში—64, ლენტეხის რაიონში—63 ბავშვი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ზუსტი აღრიცხვა და მუდმივი კონტროლი კანონის შესრულებისადმი, მაგრამ ამ საქმისადმი ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგისა და სკოლის დირექტორის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ბევრ ქალაქსა და რაიონში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ცუდად არის მოწყობილი. მაგ. აღრიცხვით და გეგმით პირველ კლასში ჩარიცხული უნდა ყოფილიყო ყვარლის რაიონის ნინიგორის საშუალო სკოლაში 81 ბავშვი, ფაქტიურად არის—42, ბაისუბნის საშუალო სკოლაში 40-დან—27, ვაზისუბნის საშუალო სკოლაში 60-დან—43, ლაგოდეხის რუსულ საშუალო სკოლაში 126-დან 106, საგარეჯოს რაიონის პატარძეულის საშუალო სკოლაში 48-დან—28, კაკაბეთის საშუალო სკოლაში 75-დან—65, დუზაგრამის რვაწლიან სკოლაში 75-დან—54, ზემო ყანდაურის რვაწლიან სკოლაში 20-დან—8, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლაში 100-დან—68. მოსწავლეთა მოძრაობის არასწორი აღრიცხვის დაუშვებელი ფაქტები იყო ქ. რუსთავის ზოგიერთ სკოლაში, სადაც ერთი და იგივე ბავშვი ორჯერ იქნა შეტანილი სტატისტიკურ ანგარიშებში. მაგალითად, 38 მოსწავლე ნაჩვენები იქნა როგორც მე-7, ისევე მე-12 საშუალო სკოლების მიერ. სულ ქ. რუსთავში განმეორებით იქნა აღრიცხული სტატისტიკურ ანგარიშებში 62 მოსწავლე.

განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის დირექტორები სათანადო პასუხისმგებლობის გრძნობით არ ეკიდებიან მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვის საქმეს, ზოგჯერ ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე მინდობილი აქვთ სხვა მუშაკებს. მაგ. თელავის რაიონში განათლების განყოფილების ყოფილი ბუხჰალტრის დაუდევრობით I—VIII კლასის მოსწავლეთა კონტინგენტი დაგეგმილი იქნა 290 მოსწავლით მეტი; გურჯაანის რაიონის ახაშნის საშუალო სკოლის I—VIII კლასებში გასულ სასწავლო წლის ბოლოს იყო 536 მოსწავლე, აქედან 8 კლასი დაამთავრა 72 მოსწავლემ. მ/სასწავლო წელს I კლასში მიღებული იყო 70 მოსწავლე, ამგვარად მ/სასწავლო წელს აღნიშნულ კლასებში უნდა ყოფილიყო 534 მოსწავლე, დაგეგმილი კი არის 598 მოსწავლე, ე. ი. 64 მოსწავლით მეტი. ვაზისუბნის საშუალო სკოლის IV კლასში გასულ სასწავლო წლის ბოლოს სწავლობდა 84 მოსწავლე. ამ სასწავლო წლისათვის კი V კლასში დაგეგმილია 99 მოსწავლე, მაშინ, როდესაც ეს სკოლა დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლებიდან შევსებას არ ღებულობს.

განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლის ხელმძღვანელები ქმედით ღონისძიებებს არ ატარებენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად, რის გამო ადგილი აქვს მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირებას. ასე, მაგ. 1964/65 სასწავლო წლის 5 სექტემბრისათვის რესპუბლიკის სკოლების I—VIII კლასებში სწავლობდა 726,702 მოსწავლე, ხოლო 15 ნოემბრისათვის სწავლობდა 720616 მოსწავლე ე. ი. დააკლდა 6086 ბავშვი. აქედან სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გადავიდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში 4.046, ავადმყოფობის გამო გავიდა 1082 ბავშვი, მუშაობა დაიწყო და არ სწავლობს 510 ბავშვი. განითესა 408 ბავშვი, განათლების ადგილობრივი ორგანოები უხეშად არღვევენ განათლების სამინისტროს მითითებას იმის შესახებ, რომ არ დაუშვან V—VIII კლასების მოსწავლეთა გაშვება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. მათ მიერ ხელაღებით არის გაშვებული აღნიშნული კლასების მოსწავლეები მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. 5/IX-დან 15/XI-მდე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გადავიდა V—VIII კლასებიდან აფხაზეთის ასსრ-ში 432, აჭარის ასსრ-ში—507, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში—181, ქ. თბილისში—522, ქ. ზუგდიდში—121, ახალქალაქის რაიონში—175, ახმეტის რაიონში—62, ბოლნისის რაიონში—87, ყვარლის რაიონში—162, მაიაკოვსკის რაიონში—62, წალენ-

ჯიხის რაიონში—122, ხაშურის რაიონში—98, თიანეთის რაიონში 82 და ა. შ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ უმთავრესად სკოლას თავს ანებებენ მეექვსე-მერვე კლასების მოსწავლეები, სწორედ ამ კლასებში ორწლიანობის შედეგად არიან ასაკგადაცილებული მოსწავლეები. ნაცვლად იმისა, რომ ამ მოსწავლეებთან პედაგოგიურმა კოლექტივებმა გაძლიერებულად იმუშაონ, სკოლის ხელმძღვანელები ცდილობენ თავიდან მოიშორონ ასაკგადაცილებულები, გადაჰყავთ ისინი საღამოს სწავლებაზე, ზოგჯერ სკოლიდან განთესილ მოსწავლეებს ანგარიშებში უჩვენებენ საღამოს სკოლაში გადასულთა რიცხვში.

არ შეიძლება რეალურად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ორთვენახევრის განმავლობაში საღამოს სკოლაში გადავიდა ახალქალაქის რაიონში 175, ყვარლის რაიონში—162, თიანეთის რაიონში—82 ბავშვი და ა. შ; რადგან ამ რაიონების საღამოს სკოლების V—VIII კლასებში თითქმის ამ რაოდენობაზე მეტი ბავშვი არ სწავლობს. განათლების ადგილობრივი ორგანოები კი თვალს არიდებენ და ურიგდებიან ასეთ ფაქტებს.

მიუხედავად განათლების სამინისტროს მრავალგზის მითითებისა ჯერ კიდევ არსად არ არის შექმნილი ასაკგადაცილებული მოსწავლეებისათვის სპეციალური კლასები.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო ინტერნატებს ლენტეხის, მცხეთის, მესტიის, გორის და სხვ. რაიონებში, აქ სასკოლო ინტერნატები სათანადოდ არ არის მოწყობილი, აკლიათ რბილი და მაგარი ინვენტარი.

ცუდად არის დაყენებული კვების ორგანიზაცია, არ არის შექმნილი ნორმალური პირობები სწავლისა და აღზრდისათვის.

ბევრ, განსაკუთრებით მთიან, რაიონში არაა გადაჭრილი საკითხი სკოლებში ბავშვების ტრანსპორტით გადაყვანის შესახებ. ზოგჯერ წარმოებები გადაყვანისათვის მოსწავლეებს ფულს ახდევინებენ. მაგ. ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშუალო სკოლის თითოეული მოსწავლე, რომელსაც ანდეზიტის წარმოებიდან უხდება სკოლაში სიარული, ამ წარმოებას სკოლაში გადაყვანისათვის თვეში უხდის 1 მან. 50 კაპიკს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) ა/წლის პირველ თებერვლამდე საფუძვლიანად შეისწავლონ

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და საკითხი განსახილველად შეიტანონ პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტების ბიუროზე ან რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომების სხდომებზე და მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ მოახსენონ განათლების სამინისტროს 10 თებერვლამდე.

ბ) პერიოდულად განიხილონ ეს საკითხი განათლების სამინისტროების კოლეგიისა და განათლების საბჭოების სხდომებზე, მოისმინონ ცალკეული სკოლების დირექტორების ანგარიში და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების უზრუნველსაყოფად დასახონ ქმედითი ღონისძიებანი;

გ) გულდასმით შეამოწმონ საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მასალები და მკაცრი სასჯელი დაადონ სკოლების დირექტორებს, რომლებსაც არაზუსტი ცნობების წარმოდგენით შეცდომაში შეყავთ ხელმძღვანელი ორგანოები;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეს, განამტკიცონ სასწავლო-მატერიალური ბაზა, გააძლიერონ ხელმძღვანელობა-კონტროლი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, აგრეთვე საჭირო ზომები მიიღონ მოსწავლეთა მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ;

ე) სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიაში საჭირო მასალების წარსადგენად, ა/წლის პირველ თებერვლამდე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში მონაცემები რაიონის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ სოფელ ადგილებში და სკოლაში სიარული უხდებათ სამი და მეტი კილომეტრის მანძილიდან;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყობის საქმეს, შექმნან იქ სწავლისა და აღზრდისთვის ნორმალური პირობები, ამ საქმეში ჩააბან საზოგადოებრიობა, მშობლები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ახალი სასწავლო წლისათვის შექმნან ასაკგადაცილებულ მოსწავლეთათვის დაჩქარებული სწავლების სპეციალური კლასები V—VIII კლასების მოსწავლეთათვის;

თ) აკრძალონ 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა გადასვლა ზოგადსაგანმანათლებლო (დილის) რვაწლიანი და საშუალო სკოლებიდან საღამოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. ცალ-

კეულ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეული იქნება რაიმე აუცილებელი საპატიო მიზეზით, ნებართვის მისაღებად საკითხი დასვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილების წინაშე.

2. ამაღლდეს სკოლების დირექტორების (გამგეების) პასუხისმგებლობა იმ მიზნით, რომ მათ:

ა) საბჭოების ორგანოებთან ერთად საკომლო საბინაო დავთრების ჩანაწერების საფუძველზე 15 აპრილამდე დააზუსტონ სასკოლო ასაკის ბავშვთა სიები. უზრუნველყონ ახალი სასწავლო წლიდან სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა სწავლებაში ჩაბმა და არსებული კონტინგენტის შენარჩუნება;

ბ) გააუმჯობესონ დაბალი წარმატების, აგრეთვე საზაფხულო დავალებამიცემულ და საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობა, მშობლებთან ერთად დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებები მოსწავლეთა მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) 1965 წლის პირველ კვარტალში შეისწავლოს 5 რაიონში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და საკითხი განსახილველად წარმოადგინოს კოლეგიის სხდომაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 დეკემბერი 1964 წ. № 2-3754

## სკოლა-ინტერნატების დირექტორებს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო გიგზავნით რეკომენდაციებს დღის რეჟიმის შესადგენად სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთათვის და წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ ამ რეკომენდაციებით თქვენს პრაქტიკულ მუშაობაში.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რეკომენდაციები სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა დღის რეჟიმის ორგანიზაციისათვის

სკოლა-ინტერნატი, როგორც ახალი ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება, მოწოდებულია აღზარდოს მაღალიდეური, დიდადგანათლებული, ყოველმხრივ განვითარებული, ჯანსაღი და ფიზიკურად გამობრძმედილი, ცხოვრებისა და შრომისათვის მომზადებული თაობა. ასეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობს რაციონალურად შედგენილი დღის რეჟიმი.

სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი უნდა აიგოს ჰიგიენის თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ამ დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით, მოსწავლეთა თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის დიფერენცირებულად.

დღის რაციონალური რეჟიმი მოსწავლეებში ზრდის დისციპლინიანობას, აჩვევს მათ დროის დაზოგვას, ხელს უწყობს ბავშვებში ინიციატივის, დამოუკიდებლობის განვითარებას. დღის რეჟიმის ცალკეულ კომპონენტებს აღსაზრდელები გაცილებით უფრო კარგად ასრულებენ, თუ ისინი ორგანიზებულია ბავშვთათვის ჩვეულ ვითარებაში და ყოველთვის ერთსა და იმავე საათებშია მოცემული, ერთი და იგივე თანმიმდევრობით.

სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი გარდა სასწავლო მეცადინეობისა საკმაო დროს ითვალისწინებს ძილისათვის, დასვენებისა და სხვადასხვა ხასიათის საქმიანობისათვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას. თითოეულ აღსაზრდელს მისი მიდრეკილების, ნიჭისა და უნარის მიხედვით უნდა შევუქმნათ ხელშემწყობი პირობები სკოლისგარეშე მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის: მეცადინეობა წრეებში, სპორტულ სექციებში, პიონერთა სასახლეებისა და სახლების, ბიბლიოთეკების, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ბავშვთა ტურისტული სადგურების, ნორჩ მაყურებელთა თეატრების, მუსიკალური სკოლების, სათხილამურო სადგურებისა და სხვათა ნახვა-გაცნობა.

სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი აღსაზრდელთა დღის განრიგს ადგენს მედიცინის მუშაკთა აქტიური მონაწილეობით.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დღის რეჟიმის აგების თავისებურებანი სასწავლო მეცადინეობისაგან თავისუფალი დღეებისა და არდადეგებისათვის. გამოსასვლელი დღის მეტი წილი ბავშვებმა უნდა გაატარონ სუფთა ჰაერზე. სასწავლო მეცადინეობისაგან თავისუფალ დღეებში კარგია აგრეთვე მოეწყოს მუზეუმში, კინოში, თეატრში წასვლა, გამოფენის დათვალიერება და სხვ.

## სასწავლო მეცადინეობის რეჟიმი

რეჟიმი ითვალისწინებს ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაციის ძირითად საკითხებს: სასწავლო და სწავლისგარეშე მეცადინეობა, დღის დასვენება ჰაერზე მაქსიმალური ყოფნით, კვება, ძილი. ამასთან რეჟიმის ცალკეული მომენტები დღე-ღამის განმავლობაში ისე ნაწილდება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა სახის საქმიანობის მონაცვლეობა, შრომისა და დასვენების დროულად ცვლა.

საკლასო და საშინაო სასწავლო მეცადინეობის საერთო მაქსიმალური ხანგრძლიობაა (ასტრონომიულ საათებში დასვენების გარეშე)

I კლასის მოსწავლეთათვის—3 საათი,
II—III კლასების " —4 საათი,
IV კლასების " —4,5—5 საათი,
V—VI კლასების " —6,5—7 საათი,
IX—XI კლასების " —7 საათი.

შვიდი წლის ბავშვებისათვის მათი უმაღლესი ნერვული მოქმედების თავისებურებათა გამო (აქტიური დაბრკოლების არამდგრადობა, ჩქარი დაღლა) გაკვეთილის ხანგრძლიობა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 30 წუთისა. დასვენებები შესაბამისად დიდდება 15 წუთამდე. თუ სასწავლო პროცესის ასე ორგანიზება პირველ კლასში არ ხერხდება ამა თუ იმ მიზეზის გამო, მასწავლებელმა გაკვეთილის მასალაში უნდა შეიტანოს მრავალფეროვნება. მაგალითად, პირველ 25—30 წუთში ჩაატაროს წერა, შემდეგ კი კითხვა, ხატვა, ფიზიკური ვარჯიში და სხვადასხვა მოძრავი თამაში. ფიზიკური ვარჯიში და მოძრავი თამაში მიზანშეწონილია ტარდებოდეს მოსწავლეთა შრომისუნარიანობის მაღალი დონის დღეებში (სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი) პირველი და მეორე გაკვეთილის ბოლოს, შრომისუნარიანობის შედარებით უფრო დაბალი დონის დღეებში კი (პარასკევი, შაბათი, ორშაბათი)—მესამე გაკვეთილის ბოლოს.

თანდათან, მეორე სასწავლო—მეოთხედიდან დაწყებული, ერთი სახის საქმიანობით მეცადინეობის ხანგრძლიობა პირველკლასელთათვის მატულობს და სასწავლო წლის დამლევისათვის გაკვეთილს ისევე, როგორც II—XI კლასებში, დაეთმობა 45 წუთამდე. მოსწავლეთა შრომისუნარიანობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სასწავლო მეცადინეობის ხანგრძლიობას, არამედ აგრეთვე გაკვეთილების სწორ შენაცვლებას დღისა და კვირის განმავლობაში. სასწავლო საათების ყოველდღიური და ყოველკვირეული რაოდენობა ცხრილში არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო დატვირთვის დაწესებულ ნორმებს. სასწავლო საგნებს, რომლებიც მეხსიერებისა და ყურადღების უფრო დიდ დაძაბვას მოითხოვენ, ცხრილში უნდა დაეთმოს პირველი საათები, როცა მოსწავლეთა შრომისუნარიანობა შედარებით მაღალია.

დაღლილობის ზრდასთან ბრძოლის ერთ-ერთი არსებითი საშუალებაა გაკვეთილებს შორის აღსაზრდელთა დასვენების უნარიანი ორგანიზაცია. ამასთან საუკეთესო დასვენება იქნება არა სრული მყუდროება, არამედ საქმიანობის ხასიათის შეცვლა. ამიტომაა რეკომენდებული დასვენების დროს ნაკლებმოძრავი ან შედარებით წყნარი თამაშის ჩატარება სუფთა ჰაერზე, ხოლო თუ პირობები ამის საშუალებას არ იძლევა, მაშინ დარბაზებში ან სხვა სადგომებში.

რასაკვირველია, არ შეიძლება დასვენების დროს ბავშვების მეტისმეტად აგზნება, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ ბავშვებმა დაისვენონ კედელთან ფეხზე მდგომნი ან დერეფანში იარონ წყნარად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰაერის კარგად გაწმენდას კლასებში.

IX—XI კლასების აღსაზრდელთათვის სასწავლო მეცადინეობის რეჟიმი აიგება იმისდა მიხედვით, თუ სად ტარდება საწარმოო პრაქტიკა. თუ ის ტარდება სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო-სახელოსნოებში ან საწარმოო საამქროებში, მიზანშეწონილია პირველი საათები დაეთმოს სასწავლო მეცადინეობას ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, უკანასკნელი საათები კი შრომას. თუ 15—20 წუთზე მეტს მოითხოვს იმ საწარმომდე, კოლმეურნეობამდე ფეხით მისვლა, სადაც საწარმოო პრაქტიკა ტარდება, უმჯობესია საწარმოო სწავლებისა და სკოლაში სასწავლო მეცადინეობის დღეების მონაცვლეობა.

წარმოებაში მუშაობისას სწავლების პირველ წელს მოსწავლეებმა უნდა დაისვენონ 10—10 წუთი ყოველი 50 წუთის შემდეგ. სწავ-

ლების მეორე წლიდან და შემდგომ წლებში დასვენებები თანდათან მცირდება იმ ანგარიშით, რომ სკოლის დამთავრებისას აღსაზრდელი მომზადებული იყოს საწარმოში მუშაობის პირობებისათვის.

სოფლის სკოლა-ინტერნატებში დღის რეჟიმი ითვალისწინებს აღსაზრდელთა საწარმოო-შრომითი სწავლების ჩატარების სეზონურობას.

### საშინაო დავალებათა დროის ბიუჯეტი

საშინაო სასწავლო მეცადინეობისათვის გამოყოფილია:

II—III კლასების მოსწავლეთათვის—1 საათი,
IV „ „ —1,5 საათი,
V—VI „ „ —2 საათი,
VII—VIII „ „ —2—2,5 საათი,
IX—XI „ „ —2,5—3 საათი.

საშინაო სასწავლო მეცადინეობისათვის დროის ასეთი განაწილება რეკომენდებულია ახლად გახსნილი სკოლა-ინტერნატებისათვის იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს ინდივიდუალური მეცადინეობის მოწყობა ცოდნის მხრივ ჩამორჩენილ ბავშვებთან. სკოლა-ინტერნატებმა, რომლებიც 1—2 წელზე მეტს მუშაობენ, თანდათან უნდა შეამცირონ საშინაო დავალებების მომზადებისათვის განკუთვნილი დრო. მათთვის შეიძლება რეკომენდებული იქნეს საშინაო სასწავლო მეცადინეობის შემდეგი ხანგრძლიობა:

II—III კლასები—45 წუთი,
IV—V „ —1 საათი,
VI—VIII „ —1,5 საათი.
VIII—IX „ —2,5 საათი

თვალყური უნდა ვადევნოთ საშინაო დავალებათა სწორად დოზირებას თითოეულ სასწავლო საგანში და მივაღწიოთ მათ შემცირებას მოფიქრებულად. სკოლა-ინტერნატის დირექტორებმა და სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგემ მასწავლებლები უნდა დაავალდებულონ ერთმანეთს შეუთანხმონ დავალებათა მოცულობა თითოეული კლასისათვის თითოეულ დღეზე და არ დაუშვან მოსწავლეთა გადატვირთვა.

უფრო რაციონალურია საშინაო დავალებათა შესრულების ჩატარება სადილისა და 1,5—2 საათს სუფთა ჰაერზე ყოფნის შემდეგ. საშინაო სასწავლო მეცადინეობის ჩატარების პროცესში საჭიროა მოეწყოს 10—15 წუთიანი დასვენებები თითოეული 45 წუთის შემდეგ. დაუშვებელია გაკვეთილების მომზადება მაშინვე—ნა-

სადილევს. ამ შემთხვევაში აღსაზრდელები იძულებულნი ხდებიან საკმაო დასვენების გარეშე იმეცადინონ 7—8 საათს. რეჟიმის ყველა ვარიანტის პირობებში საშინაო სასწავლო დავალებათა შესრულება რეკომენდებულია დამთავრდეს არა უგვიანეს 18 ს. და 30 წ.

პირველი კლასის მოსწავლეთათვის საშინაო დავალების მიცემა რეკომენდებულია მოხდეს კვირაში მხოლოდ სამჯერ, დღეში 30—45 წუთის ანგარიშით.

ზოგჯერ სკოლა-ინტერნატში I—IV კლასების მოსწავლეები საშინაო-დავალებებს ასრულებენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ეს გამოცდილება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მეცადინეობა არ ატარებს ერთგვარ დამატებით გაკვეთილის ხასიათს და მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას მოსწავლეებში, მათი აზროვნების განვითარებას და ა. შ. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ დღის ასეთი რეჟიმის პირობებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს ხარისხი შრომისა და სიმღერის გაკვეთილებისა, რომლებსაც ჩვეულებრივ აღმზრდელები ხელმძღვანელობენ კლასგარეშე მეცადინეობის დროს.

დამოუკიდებლობის პრინციპზე უნდა აიგოს აგრეთვე საშინაო დავალებათა შესრულება V—VI კლასების მოსწავლეთა მიერ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ხელმძღვანელობს ამ საქმეს—მასწავლებელი თუ აღმზრდელი. მასწავლებელთა ამოცანაა შექმნან ნორმალური პირობები მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების შესასრულებლად, ასწავლონ მათ დამოუკიდებლად მუშაობა.

VII—IX კლასების მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ შესაძლებლობა სრულიად დამოუკიდებლად შეასრულონ საშინაო დავალებები მასწავლებლის ან აღმზრდელის დაუსწრებლად. სწორად იქცევიან იმ სკოლა-ინტერნატებში, სადაც ხსენებული კლასების მოსწავლეები საშინაო დავალებებს ასრულებენ სასწავლო კაბინეტებში, ბიბლიოთეკაში, მეცადინეობისაგან თავისუფალ კლასში, სამკითხველოსა და სხვა სადგომებში, თუ იქ არის სათანადო მოწყობილობა. მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების შესრულების ორგანიზაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ რაც უფრო ჩქარა შეისწავლიან მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობას, მით უფრო მტკიცე იქნება მათი ცოდნა და ჩვევები.

რიგ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელებს, რომლებმაც კარგად და სწრაფად შეასრულეს საშინაო დავალება, აიძულებენ კლასში „ისხდნენ“ რეჟიმით დადგენილი მთელი დროის მანძილზე. ასეთი წესი არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს პირიქით, საჭიროა ყოველმხრივ წავახალისოთ ის კეთილსინდისიერი მოსწავლეები

რომლებიც მთელი მონდომებით და ძალდაუტანებლად იწყებენ და ზუსტად და სწრაფად ასრულებენ საშინაო დავალებას. ასეთი მოსწავლეების კლასში დატოვება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გონივრულად გამოიყენონ ეს დრო თავისი შეხედულებისამებრ.

აღსაზრდელთა მიერ საშინაო დავალებების შესრულების პროცესში დაცული უნდა იქნეს აბსოლუტური სიწყნარე. თუ გარეთ ხმაურია, ბავშვები მალე იღლებიან, მცირდება მუშაობის ხარისხი.

განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო იმისათვის, რომ ნორმალურად იქნეს განათებული თითოეული აღსაზრდელის სამუშაო ადგილი, საკმაოდ გასუფთავდეს ჰაერი. აღმზრდელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვების სწორად ჯდომას საშინაო დავალებათა შესრულების დროს. კარგი გარემოპირობები (საკმარისი ფართობი და კუბატურა, სინათლე, შენობაში ნორმალური ტემპერატურა-ტენიანობა და სხვ.) ხელს უწყობს შრომისუნარიანობის შენარჩუნებას მაღალ დონეზე.

### კლასგარეშე მეცადინეობა და დღის რეჟიმი

დღის რეჟიმის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახის კლასგარეშე მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას.

ბოლო უნდა მოეღოს იმ მრავალ ღონისძიებას, როდესაც ბავშვი, თითქოსდა კონვეიერით ერთი ღონისძიებიდან გადადის მეორეზე. ძალიან მნიშვნელოვანია მოისპოს ერთი და იგივე ღონისძიებების დუბლირება კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, ბავშვთა კოლექტივის საბჭოს ხაზით. დაუშვებელია, როდესაც აღსაზრდელები ერთსა და იმავე დღეს მონაწილეობენ ორ, სამ ორგანიზებულ ღონისძიებაში.

სწორად იქცევიან სკოლა-ინტერნატების ის ხელმძღვანელები, რომლებიც ძირითად ყურადღებას აპყრობენ არა სკოლაში ჩასატარებელი სხვადასხვა სახის ღონისძიების რაოდენობას, არამედ მათი შინაარსის მაღალ ღირსებას.

კლასგარეშე მეცადინეობისათვის რეჟიმში გათვალისწინებული უნდა იქნეს 2 საათი I—VI კლასების აღსაზრდელთათვის და 2,5 საათი VII—XI კლასების აღსაზრდელებისათვის.

რეჟიმი არ უნდა ზღუდავდეს ბავშვთა ინიციატივას. საჭიროა მივცეთ მათ შესაძლებლობა—თავისუფალი დრო მოახმარონ თავიანთ საყვარელ საქმეს. რიგ სკოლა-ინტერნატებში კლასგარეშე მეცადინეობების საათები იგეგმება კვირის ცხრილით. მაგალითად, კვირის ერთ დღეს მეცადინეობენ ტექნიკური წრეები, სპორტული

სექციები, მეორედ ხდება კინოსურათების დემონსტრირება, ტარდება საერთო სასკოლო საღამო, საერთო კრება, მესამედ ეწყობა აღსაზრდელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა სკოლის გარეთ და ა. შ.

საკლუბო დროის ასეთ განრიგს თავისი ნაკლიც აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველ საღამოს ტარდება ორგანიზებული მეცადინეობა და აღსაზრდელებს ყოველთვის როდი რჩებათ საკმაო დრო, რომელიც მათ უნდა გამოიყენონ საკუთარი შეხედულებისამებრ.

თავისუფალი დრო იმისათვის, რომ წაიკითხონ, დაისვენონ, დაწერონ წერილი, გაისეირნონ უახლოეს მეგობართან ერთად, იოცნებონ,—ყოველთვის როდი აქვთ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს.

რიგ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთათვის (მესამე-მეოთხე კლასებიდან დაწყებული) შემოღებულია 1—2 თავისუფალი საღამო კვირაში. ასეთი საღამოების დროს ღიაა სახელოსნოები და კაბინეტები, პიონერთა ოთახი, მუსიკისა და თამაშის ოთახები, ბიბლიოთეკა და ყველა სასტუმრო ოთახი. ბავშვები თავისუფლად სარგებლობენ ინსტრუმენტებითა და მასალებით, ცნობარებით. აღსაზრდელებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ აგრეთვე კონსულტანტი—მასწავლებლები. არც აღმზრდელი, არც წრის მამასახლისი, არც რაზმის ხელმძღვანელი არავის ავალებენ ამა თუ იმ საქმის შესრულებას. თითოეული აღსაზრდელი დაკავებულია თავისი საყვარელი საქმით (აღსაზრდელებს, რომლებმაც ჯერ არ იციან თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება, ტაქტიანად და მოთმინებით ეხმარებიან მასწავლებლები).

აღმზრდელები და მასწავლებლები ამ საღამოების დროს მუშაობენ არა თავის კლასებთან, არამედ მომსახურებას უწევენ ერთი სახის სკოლისგარეშე მუშაობის გარკვეულ პუნქტებს (კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სახელოსნო და სხვ.). მასწავლებლებს ეხმარება აღსაზრდელთა აქტივი, მაგრამ ისე, რომ თითოეული აქტივისტი 3—4 თავისუფალი საღამოდან დაკავებული იქნეს მხოლოდ ერთ საღამოს.

არ შეიძლება ადამიანის აღზრდა გარეგნული დისციპლინისა და გარეგნული ზემოქმედების სისტემით. რეჟიმი არ შეიძლება მიმართული იქნეს მხოლოდ გარეგნული მწყობრი წესრიგისაკენ, მხედველობაში უნდა მივიღოთ თითოეული აღსაზრდელის ინტერესები და სულიერი მოთხოვნილებანი.

რეჟიმის თითოეულ ფორმას უნდა ჰქონდეს გარკვეული პედაგოგიური აზრი. სრულებით არ არის გამართლებული, მაგალითად, ის, რომ მარშით აღსაზრდელები ყოველდღე მიდიან სასადილოში, სახელოსნოში, კლასებში, გაკვეთილების მოსამზადებლად და ა. შ.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ბავშვში არის განმარტოების, ოცნების მოთხოვნილება, ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს აღსაზრდელის თითოეული ნაბიჯის ზედამხედველობას და მეტი ნდობა გამოეცხადოს თითოეულ ბავშვს.

ა. ს. მაკარენკო სასტიკად უარყოფდა რეჟიმის განმტკიცებას სამწყობრო წვრთნით. ის ამბობდა, რომ მწკრივი, რაზმი, სამხედრო სუბორდინაცია, დავალებით მარშირება ნაკლებად სასარგებლო ფორმებია ბავშვთა და ჭაბუკთა კოლექტივში, და ყველაფერი ეს იმდენად არ განამტკიცებს კოლექტივს, რამდენადაც ბავშვებს ღლის ფიზიკურად და ფსიქიკურად.

საჭიროა კლასგარეშე მუშაობის დროს მოფიქრებულად მოეწყოს აღსაზრდელთა მწარმოებლური, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. ამ შრომას ისინი ეწევიან არასასწავლო დროს კვირაში ორჯერ: პირველკლასელები—30—40 წუთს დღეში, II—IV კლასების მოსწავლეები—არა უმეტეს ერთი საათისა. V—VIII კლასების აღსაზრდელთათვის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 1,5 საათს, IX—XI კლასების—1,5—2 საათს.

ყველაზე უკეთესია მწარმოებლური და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა მოეწყოს გაკვეთილების მომზადების შემდეგ, სასწავლო დღის ბოლოს, ვახშმამდე.

დასაშვებია რეჟიმის ისეთი ვარიანტიც, რომლის მიხედვით აღსაზრდელები ნასადილევს ეწევიან შრომას, შემდეგ სეირნობენ ნახევარ საათს, მერე კი ამზადებენ საშინაო დავალებებს.

სახელოსნოებში მუშაობა ნავახშმევს ძილის წინ-დაუშვებელია. ეს იწვევს ორგანიზმის გადაღლას და აგზნებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ძილის ხანგრძლიობაზე, ღრმა ძილზე.

დრო ვახშმის შემდეგ უნდა მოხმარდეს წყნარ თამაშს, კითხვას, საუბარს, გასეირნებას.

საზოგადოებრივ-სასარგებლო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა ჰაერზე ყოფნასთან, შეიძლება ჩატარდეს გასეირნებისა და მოძრავი თამაშისათვის გათვალისწინებულ საათებში.

## ბავშვთა ძილის, დასვენებისა და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაცია

ბავშვთა და მოზარდთა ნორმალური ფიზიკური განვითარებისათვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძილისა და დასვენების ორგანიზაციას.

ბავშვთა ძილის ხანგრძლიობა წესდება მათი ასაკის შესაბამისად, რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო მეტია მასში ძილის მოთხოვნილება, ბავშვთა და მოზარდთა ძილის მინიმალური ხანგრძლიობა ასეა რეკომენდებული: 7 წლის ბავშვებისათვის 12—11,5 საათი (მათ შორის 1 ან 1,5 საათი—დღის ძილი), 8—9 წლის ბავშვისათვის—11, 10,5 საათი; 10 წლის—10,5 10 საათი; 11—12 წლის 10—9,5 საათი; 13—14 წლის—9,5—9 საათი; 16 წლის მოზარდებისათვის—9—8.5 საათი და 17—18 წლის ჭაბუკებისათვის—8,5 საათი.

საშუალო და უფროსი ასაკის ცალკეული აღსაზრდელებისათვის ექიმის დასკვნით შეიძლება დაწესდეს დღის ძილი 1—1,5 საათის ხანგრძლიობით.

ჰიგიენური სრულფასოვანი ძილისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სუფთა ჰაერს, სავსებით მოხერხებულ საწოლს, სუფთა ლოგინს, საწყნარეს. დაუშვებელია, როცა ცალკეულ აღსაზრდელებს სძინავთ საწოლზე ჩატეხილი ბადით, მოკლე ლეიბზე და ა. შ.

სკოლა-ინტერნატის პირობებში სავალდებულოა ბავშვების ყოველდღიურად ყოფნა სუფთა ჰაერზე. უმცროსი კლასების აღსაზრდელთათვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილია სუფთა ჰაერზე ყოფნა დღეში ოთხჯერ მაინც დილით, საუზმის შემდეგ, სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე—30 წუთს, მესამე გაკვეთილის შემდეგ ან სადილამდე—1—1,5 საათს, სადილის შემდეგ—1, 1,5 საათს და ძილის წინ—30 წუთს.

საშუალო და უფროსი კლასების აღსაზრდელთათვის გათვალისწინებულია ჰაერზე ყოფნა სამჯერ: დილით, სადილის შემდეგ და ვახშმის წინ.

დილით გასეირნება, მისი ხანმოკლეობის მიუხედავად, ხელს უწყობს გაკვეთილებზე ბავშვების სწრაფად ჩაბმას მუშაობაში. ძალიან სასარგებლოა აგრეთვე 30—წუთიანი გასეირნება ძილის წინ ის ხელს უწყობს ღამის ღრმა ძილს.

ზოგიერთ ბავშვს არ უყვარს სიცივეში სეირნობა და არჩევს შინ დარჩენას, სეირნობის ნაცვლად—კითხვას, ქარგვას ან უმიზნო დროსტარებას შენობაში. სასეირნოდ წასვლის სურვილის უქონლო-

ბას ისინი იმით ხსნიან, რომ „გარეთ მათ არავითარი საქმე არ აქვთ“. ჯანმრთელ ბავშვებს უყვართ დასვენება აქტიურ მოძრაობაში, ამიტომ გასეირნება უნდა შეეხამებოდეს თამაშს, სპორტულ გართობას, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

დღის რეჟიმში შედის ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობა სხვადასხვაგვარ ორგანიზაციულ ფორმაში. მათგან 7—17 წლის ბავშვთათვის ძირითადია: დილის ტანვარჯიში, წყლის პროცედურები, თამაში, სეირნობა, მეცადინეობა ფიზიკური კულტურის კოლექტივში, მასობრივი ღონისძიებანი ფიზიკურ კულტურაში და სხვ.

ფიზიკური აღზრდის ყველა ეს ფორმა უნდა შეეხამებოდეს ბავშვთა გამობრძმედას მზით, ჰაერით, წყლით.

ბავშვთა ორგანიზმზე დიდ გამაჯანსაღებელ გავლენას ახდენს დილის ტანვარჯიში, რომელიც სისტემატურად ტარდება სუფთა ჰაერზე წლის ყველა დროს.

სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობამ და საექიმო პერსონალმა განუხრელად უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ ყველა ვარჯიში იყოს მტკიცედ დიფერენცირებული ბავშვთა ასაკის მიხედვით და შეესაბამებოდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

დღის რაციონალური რეჟიმის განხორციელება სკოლა-ინტერნატებში დიდად არის დამოკიდებული სასწავლო ოთახების ჰიგიენურ პირობებზე. ამ ოთახებში უნდა იყოს ავეჯი, რომელიც პასუხობს ბავშვთა ზრდის მაჩვენებლებს. თითოეული აღსაზრდელი უნდა იჯდეს მისი სიმაღლისათვის შესაფერის მერხზე, შესაფერის მაგიდასთან. არასწორი ჯდომა მავნე გავლენას ახდენს ბავშვის ორგანიზმზე და იწვევს ტანადობის დარღვევას. ნორმალური მხედველობისა და სწორი ტანადობის შესანარჩუნებლად ძალიან სასარგებლოა მოსწავლეთა გადაჯდომა (ერთხელ წლის ნახევარში) მერხების ერთი რიგიდან მეორე რიგში.

### დროის გონივრულად განაწილება—რეჟიმის საფუძველია

მოწინავე სკოლა-ინტერნატების პედაგოგიური კოლექტივებისათვის დამახასიათებელია ყოველდღიური ზრუნვა მოსწავლეთა დროის რაციონალურად განაწილებაზე.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ რეჟიმის ყველა მომენტი, ადგომიდან დაწყებული და საღამოს ტუალეტით დამთავრებული, ტარდება ზუსტად დადგენილ დროს. შეეჩვიო სიზუსტეს—ეს ნიშნავს შეეჩვიო თავის თავისადმი ზუსტ მოთხოვნას, ყოველგვარი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებას.

მოსწავლეთა დროის დიდი ეკონომიაა მუდმივი ადგილების

დაწესება მათი პირადი ნივთებისა და საშინაო საგნების შესანახად დაუშვებელია, მაგალითად ის, რომ ზოგჯერ აღსაზრდელს უხდება ფეხსაცმლის ან ტანსაცმლის ჯაგრისის, ღილის ან ძაფის და სხვა საგნების ძებნა.

მოფიქრებულად უნდა დაწესდეს აღსაზრდელთა მორიგეობა. სწორად იქცევიან იმ სკოლა-ინტერნატებში, სადაც შეძლებისდაგვარად ამცირებენ ყოველდღიურად მორიგეების რიცხვს, მოვალეობას მათ შორის კი ანაწილებენ მათი ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მორიგეობის სახეებიდან ყველაზე უფრო შრომატევადია სასადილოში მორიგეობა. სკოლა-ინტერნატები ეძებენ გზებს სასადილოში მორიგეთა მუშაობის დროის შესამცირებლად. რიგ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა ერთი ნაწილი მორიგეობს საუზმის დროს, მეორე—სადილის, მესამე—ვახშმის დროს. ზოგან პირველი კერძი, კისელი, კომპოტი მაგიდებზე მიაქვთ სპეციალური ჯამებით, ჩაი, ყავა, რძე—ჩაიდნებით.

კარგია, როცა სკოლა-ინტერნატებში ჭურჭლის ასალაგებლად იყენებენ ურიკას, ჭურჭლის გასარეცხად—ელექტროჭურჭლისსარეცხ მანქანას, პურის დასაჭრელად—ელექტროპურისაჭრელსა და სხვა საყოფაცხოვრებო მანქანებს. შრომის მექანიზაცია სასადილოში მნიშვნელოვნად ამცირებს მორიგეობის დროს.

I—VI კლასების აღსაზრდელები უნდა განთავისუფლდნენ სამზარეულოში მუშაობისაგან. საჭმლის დამზადებაში, მზა კერძების დარიგებაში, პურის ჭრაში, წყლის სასმელი ავზების გამართვაში მონაწილეობენ მხოლოდ VII და უფროსი კლასების მოსწავლეები, რომლებმაც გაიარეს სპეციალური სამედიცინო შემოწმება.

სწავლობენ რა მოსწავლეთა დროის ბიუჯეტს, სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურმა კოლექტივებმა თავიდან უნდა აიცილონ ყველაფერი ის, რაც მოსწავლეებს ხელს უშლის რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენონ დრო დღე-ღამის განმავლობაში, და ამით მიაღწიონ დღის რეჟიმის ზუსტად დაცვას.

დასასრულს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დღის რეჟიმი საუკეთესოდ სრულდება მაშინ, როცა ხელმძღვანელები და აღმზრდელები, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, აღსაზრდელთა მთელ კოლექტივს შემოიკრებენ რეჟიმის ზუსტად დაცვისათვის.

კვირა და უქმე დღეებისათვის დღის რეჟიმი უნდა შედგეს ჩვეულებრივი რეჟიმისაგან განსხვავებული ვარიანტით და ამ დღეებში მეტი დრო უნდა დაეთმოს კულტმასობრივ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეჟიმის ცალკეული მომენტების სანიმუშო ხანგრძლიობა დღე-ღამის განმავლობაში I—XI კლასების აღსაზრდელთათვის

| დასახელება | კ ლ ა ს ე ბ ი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II—III | IV | V | VI | VII | VIII | IX—X |
| 1. სასწავლო მეცადინეობა . . | 3,30 | 3,45 | 4.30 | 5.30 | 5.30 | 5.30 | 5.30 | 5.30 |
| 2. საშინაო დავალებათა შესრულება . | 0,30 | 0,45 | 1,00 | 1,30 | 1.30 | 2.00 | 2.00 | 2.30 |
| 3. კლასგარეშე მეცადინეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ჩათვლით . . . | 2,00 | 2,30 | 2.00 | 2.00 | 2.00 | 2,30 | 2.30 | 2.30 |
| 4. დასვენება სუფთა ჰაერზე (მოძრავი თამაში, სპორტული გართობა) | 3,30 | 4.00 | 3,30 | 3.00 | 3.00 | 2,30 | 2.30 | 2.30 |
| 5. თვითმომსახურეობა (დილის და საღამოს ტუალეტი წყლის პროცედურების, ოთახების დალაგებისა და საჭმლის მიღების ჩათვლით) | 2.30 | 2.30 | 2.30 | 2.30 | 2.30 | 2.30 | 2.30 | 2.30 |
| 6. ძილი: ღამის . | 11.00 | 10.30 | 10.30 | 10.00 | 10.00 | 9.30 | 9.00 | 8,30 |
| დღის . . | 1.00 | | | | | | | |

**შენიშვნა**: 1) იმ დღეებში, როცა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია გაკვეთილების უფრო მცირე რაოდენობა, თავისუფალი დრო გამოიყენება სკოლა-ინტერნატების შეხედულებისამებრ.

2) I კლასის აღსაზრდელთათვის გაკვეთილების დამზადება გათვალისწინებულია კვირაში მხოლოდ სამჯერ.

## დღის ხანიმუშო რეჟიმი I—IV კლასების აღსაზრდელთათვის (I ვარიანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | დასახელება | კლასები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV |
| 1 | ადგომა . . . . . | 8.00 | 8.00 | 8.00 | 8.00 |
| 2 | დილის გამამხნევებელი ვარჯიში . | 8.05—8.20 | 8 05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 |
| 3 | საძინებლების დალაგება, დილის ტუალეტი . . . . | 8.20—8.40 | 8,20—8,40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 |
| 4 | საუზმე . . . . . . | 8.40—9.00 | 8.40—9.00 | 8.40—9.00 | 8.40—9.00 |
| 5 | გასეირნება . . | 9.00—9.30 | 9.00—9.30 | 9.00—9.30 | 9.00—9.30 |
| 6 | სასწავლო მეცადინეობა . | 9.30—13.00 | 9.30—13.00 | 9.30—13.30 | 9.30—14.00 |
| 7 | სპორტული თამაში და სპორტული გართობა . . . . | 13.30—14.30 | 13.30—14.30 | 13.30—14.30 | 14.00—14.30 |
| 8 | სადილი . . . | 14.30—15.00 | 14.30—15.00 | 14.30—15.00 | 14.30—15.00 |
| 9 | ნასადილევს ძილი . | 15.00—16.00 | — | — | — |
| 10 | მოძრავი თამაში, გართობა სუფთა ჰაერზე . . . . | 16.00—17.00 | 15,00—17.00 | 15.00—17.00 | 15.00—17.00 |
| 11 | გაკვეთილების დამზადება . . . . | 17.00—17.30 | 17.00—17.45 | 17.00—17.45 | 17.00—18.00 |
| 12 | კლასგარეშე მეცადინეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩათვლით | 17.30—20.00 | 17.45—20.00 | 17.45—20.00 | 18.00—20.00 |
| 13 | ვახშამი . . | 20.00—20.30 | 20.00—20.30 | 20.00—20.30 | 20.00—20.30 |
| 14 | გასეირნება ძილის წინ . . . . | 20.30—21.00 | 20.30—21.00 | 20.30—21.00 | 20.30—21.00 |
| 15 | საღამოს ტუალეტი, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მოვლა | 21.00—21.30 | 21.00—21.30 | 21.00—21.30 | 21.00—21.30 |
| 16 | ძილი . . . . . | 21.30—8.00 | 21.30—8.00 | 21.30—8.00 | 21.30—8.00 |

**შენიშვნა:** I კლასის აღსაზრდელთათვის საშინაო დავალებათა შესრულება გათვალისწინებულია მხოლოდ სამჯერ კვირაში.

## დღის სანიმუშო რეჟიმი I—IV კლასების აღსაზრდელთათვის (II ვარიანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | დასახელება | კლასები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV |
| 1 | ადგომა . . . | 8.00 | 8.00 | 8.00 | 8.00 |
| 2 | დილის გამამხნევებელი ვარჯიში | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 |
| 3 | საძინებლის დალაგება, დილის ტუალეტი . . . | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 |
| 4 | საუზმე და გასეირნება . . . . . | 8.40—9.30 | 8.40—9.30 | 8.40—9.30 | 8.40—9.30 |
| 5 | სასწავლო მეცადინეობა . . . . | 9.30—12.05 | 9.30—12.05 | 9.30—12.05 | 9.30—12.35 |
| 6 | დიდი დასვენება, მეორე საუზმე, გასეირნება . . | 12.05—13.00 | 12.05—13.00 | 12.05—13.00 | 12.05—13.00 |
| 7 | გაკვეთილების დამზადება . . . . | 13.00—13.30 | 13.00—13.45 | 13.00—13.45 | 13.00—14.00 |
| 8 | გასეირნება . . | 13.30—14.00 | 13.45—14.30 | 13.45—14.30 | 14.00—14.30 |
| 9 | სადილი . . | 14.40—15.00 | 14.30—15.00 | 14.30—15.00 | 14.30—15.00 |
| 10 | ნასადილევს ძილი . | 15.00—16.00 | — | — | — |
| 11 | მოძრავი თამაში და სპორტული გართობა სუფთა ჰაერზე . | 16.00—17.00 | 15.00—17.00 | 15.00—17.00 | 15.00—17.00 |
| 12 | სასწავლო მეცადინეობა . . . | 17.00—18.00 | 17.00—18.00 | 17.00—18.00 | 17.00—19.00 |
| 13 | კლასგარეშე მეცადინეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩათვლით | 18.00—20.00 | 18.00—20.00 | 18.00—20.00 | 19.00—20.00 |
| 14 | ვახშამი . . | 20.00—20.30 | 20.00—20.30 | 20.00—20.30 | 20.00—20.30 |
| 15 | გასეირნება ძილის წინ . . | 20.30—21.00 | 20.30—21.00 | 20.30—21.00 | 20.30—21.00 |
| 16 | საღამოს ტუალეტი, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მოვლა | 21.00—21.30 | 21.00—21.30 | 21.00—21.30 | 21.00—21.30 |
| 17 | ძილი . . . . . . | 21.30—8.00 | 21.30—8.00 | 21.30—8.00 | 21.30—8.00 |

**შენიშვნა**: 1) I კლასის აღსაზრდელთათვის დამოუკიდებელი დავალების შესრულება დასაშვებია კვირაში მხოლოდ სამჯერ.

2) საზოგადოებრივ-სასარგებლო სამუშაოები სუფთა ჰაერზე შეიძლება ჩატარდეს გასეირნებისა და მოძრავი თამაშისათვის განკუთვნილ საათებში..

3) საშინაო მეცადინეობას მასწავლებელი ატარებს მეორე ან მესამე გაკვეთილის შემდეგ. გაკვეთილების მომზადების დაწყებამდე აღსაზრდელები უეჭველად ისვენებენ ერთ საათს სუფთა ჰაერზე. სასწავლო მეცადინეობის ასეთი რეჟიმის დროს ხატვის, სიმღერის ფიზიკური კულტურის გაკვეთილები გადაიტანება დღის მეორე ნახევარში.

## დღის სანიმუშო რეჟიმი V—XI კლასების აღსაზრდელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | დასახელება | კლასები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | V | VI | VII | VIII | IX—XI |
| 1 | ადგომა | 8.00 | 8.00 | 8.00 | 8.00 | 8.00 |
| 2 | დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.20—8.20 |
| 3 | საძინებლების დალაგება, დილის ტუალეტი | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 |
| 4 | საუზმე და გასეირნება | 8.40—9.30 | 8.40—9.30 | 8.40—9.30 | 8.40—9.30 | 8.40—9.30 |
| 5 | სასწავლო მეცადინეობა (II საუზმე) | 9.30—15.00 | 9.30—15.00 | 9.30—15.00 | 9.30—15.00 | 9.30—15.00 |
| 6 | სადილი | 15.00—15.30 | 15.00—15.30 | 15.00—15.30 | 15.00—15.30 | 15.00—15.30 |
| 7 | მოძრავი თამაში, გართობა ჰაერზე. საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომა ჰაერზე | 15.30—17.00 | 15.30—17.00 | 15.30—17.00 | 15.30—17.00 | 15.30—17.00 |
| 8 | საშინაო დავალებათა მომზადება | 17.00—18.00 | 17.00—18.00 | 17.00—18.00 | 17.00—19.00 | 17.00—19.30 |
| 9 | კლასგარეშე მეცადინეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ჩათვლით | 18.00—20.30 | 18.00—20.30 | 18.00—20.30 | 19.00—21.00 | 19.30—21.00 |
| 10 | ვახშამი | 20.30—21.00 | 20.30—21.00 | 20.30—21.00 | 21.00—21.30 | 21.00—21.30 |
| 11 | გასეირნება ძილის წინ | 21.00—21.30 | 21.00—21.30 | 21.00—22.00 | 21.30—22.30 | 21.30—23.00 |
| 12 | საღამოს ტუალეტი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოვლა | 21.30—22.00 | 21.30—22.00 | 22.00—22.30 | 22.30—23.00 | 23.00—23.30 |
| 13 | ძილი | 22.00—8.00 | 22.00—8.00 | 22.30—8.00 | 23.00—8.00 | 23.30—8.00 |

**შენიშვნა**: მერვეკლასელებს ვახშმის შემდეგ კლასგარეშე მეცადინეობისათვის შეუძლიათ გამოიყენონ 30 წუთი, IX—XI კლასების მოსწავლეებს კი—ერთი საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკოლა-ინტერნატის დღის სანიმუშო რეჟიმი ზაფხულის პერიოდისათვის

| | რეჟიმის მომენტები | 7—8 წლის ბავშვთათვის | 9—12 წლის | 13—14 წლის | 15—18 წლის |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადგომა . . . | 8.00 | 8.00 | 8.00 | 8.00 |
| 2 | დილის გამამხნევებელი ვარჯიში, წყლით დაზელა, წყლის გადასხმა, შხაპი . . | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 | 8.05—8.20 |
| 3 | საძინებლის დალაგება და ტუალეტი . | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 | 8.20—8.40 |
| 4 | საუზმე . . . . . | 8.40—9.00 | 8.40—9. 0 | 8.40—9.00 | 8.40—9.00 |
| 5 | საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა (უფროსებისათვის მწარმოებლური შრომა) . . . | 9.00—11.00 | 9.00—11.00 | 9.00—11.00 | 9.00—11.00 |
| 6 | გასეირნება, მოძრავი თამაში (II საუზმე) | 11.00—12.30 | 11.00—12.30 | 11.00—12.30 | 11.00—12.30 |
| 7 | მზის აბაზანები და წყლის პროცედურები . . . . . | 12.30—13.30 | 12.30—13.30 | 12.30—13.30 | 12.30—13.30 |
| 8 | თავისუფალი დრო . | 13.30—14.30 | 13.30—14.30 | 13.30—15.00 | 13.30—15.00 |
| 9 | სადილი . . . . | 14.30—15.00 | 14.30—15.00 | 15.00—15.30 | 15.00—15.30 |
| 10 | ნასადილევს დასვენება, 7—10 წლის ბავშვების ძილი | 15.00—17.00 | 15.00—17.00 | 15.30—17.00 | 15.30—17.00 |
| 11 | შემოქმედებითი საქმიანობა წრეებში და უფროსი ასაკის აღსაზრდელების მწარმოებლური შრომა . | 17.00—18.30 | 17.00—18.30 | 17.00—19.00 | 17.00—19.30 |
| 12 | თავისუფალი დრო . | 18.30—20.00 | 18.30—20.00 | 19.00—20.30 | 19.30—20.30 |
| 13 | ვახშამი . . . . | 20.00—20.30 | 20.00—20.30 | 20.30—21.00 | 20.30—21.00 |
| 14 | მასობრივი მუშაობა, მხატვრული წრეების მეცადინეობა, თვითმოქმედების საღამოები . . . | 20.30—21.30 | 20.30—21.30 | 21.00—22.00 | 21.00—23.00 |
| 15 | ძილისათვის მომზადება . . . . | 21.30—22.00 | 21.30—22.00 | 22.00—22.30 | 23.00—23.30 |
| 16 | ძილი . . . . . . | 22.00—8.00 | 22.00—8.00 | 22.30—8.00 | 23.30—8.00 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 იანვრის ბრძანება № 72

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 აპრილის № 255 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

1964 წლის 28 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მიღებული დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლის გარეშე დაწესებულებებმა და განათლების ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს.

ამ მუშაობის შედეგად საგრძნობლად იქნა გაუმჯობესებული კერძოდ მუსიკა-სიმღერის სწავლება ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, გორის, თელავის, ზესტაფონის, სიღნაღის, მახარაძის, ცხაკაიას, გურჯაანის, სამტრედიის და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ერთგვარად გაუმჯობესდა სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა კადრების თვისობრივი შემადგენლობა; ბევრი სკოლა ამ უკანასკნელ ხანებში უზრუნველყოფილი იქნა მუსიკალური ინსტრუმენტებით; ზოგიერთი მასწავლებელი დიდი მონდომებით ეკიდება პროგრამის ყოველ განყოფილებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სანოტო ანბანის შესწავლას და კლასიკური მუსიკალური მემკვიდრეობის სწორად ათვისებას; ზოგიერთ სკოლაში მოეწყო მუსიკალური კლასკაბინეტები.

მუსიკალური აღზრდის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს კლასგარეშე საგუნდო მუშაობა, რომელიც თანდათანობით მყარსა და სწორ ნიადაგზე დგება; ქ.ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის,

სოხუმის, გორის, თელავის, ზუგდიდისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის სკოლებში საგუნდო-მუსიკალურ მუშაობას ხელმძღვანელობენ ამ საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტები.

მოსწავლეთა მუსიკალური კულტურის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვს უკანასკნელ წლებში სკოლებთან ჩამოყალიბებულ მუსიკალურ ჯგუფებს, რომელთა ქსელი წლითი-წლობით ფართოვდება; წელს ახლად იქნა გახსნილი 100-დე მუსიკალური ჯგუფი. ამჟამად რესპუბლიკის 300-დე სკოლასთან არსებულ ამ ჯგუფებში სწავლობს 20 ათასამდე ბავშვი, რაც დიდი ნაბიჯია მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ სრულფასოვანი მუსიკალური კულტურის მასობრივად დაუფლების გზაზე.

გარკვეულ წინსვლას აქვს აგრეთვე ადგილი ხატვის სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით ზოგიერთი ქალაქის სკოლაში. ხატვის მასწავლებლები მეტ დაინტერესებას იჩენენ პროგრამებით გათვალისწინებული ყოველი განყოფილების სრულფასოვნად შესწავლისათვის; საგრძნობლად დიდდება ბავშვთა და მოზარდთა დაინტერესება სახვითი ხელოვნებით. რესპუბლიკის ცალკეული სკოლები ნერგავენ სახვით ხელოვნებაში საუკეთესო ნიმუშების სასკოლო გამოფენას, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თბილისის №№ 14, 47, 43 სკოლების და ოჩამჩირის № 1 და № 3 სკოლების მუშაობა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი ქ. თბილისში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასახელებული დადგენილებით დასახული ღონისძიებების განსახორციელებლად. რიგ ქალაქებსა და რაიონებში განათლების განყოფილებებთან შექმნილია მხატვრული აღზრდის სექციები; განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე ბევრგან გულდასმით იქნა განხილული ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი; 1964 წ. ზაფხულის განმავლობაში პირველად რესპუბლიკაში მოეწყო მუსიკა-სიმღერის მასწავლებელთა გადამზადება დუშეთის ერთთვიან კურსებზე 80 მასწავლებლისათვის; უკვე მეორე წელია თბილისში რეგულარულად მეცადინეობს მასწავლებელთა გუნდი, რაც დიდად უწყობს ხელს მათს მეთოდურ დახელოვნებას.

1964 წლის მაის-ივნისში რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში ფართოდ მოეწყო ბავშვთა თვითშემოქმედების ადგილობრივი დათვალიერებანი; წელსვე, ამავე დროს, ქ. თბილისში ხელოვნების მუზეუმში ორგანიზებული იქნა გამოფენა სახვით ხელოვნებაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500-დე მოსწავლემ და ორასმა მათ შორის დაიმსახურა განათლების სამინისტროს სიგელი.

სათანადო ყურადღება ექცევა მხატვრული აღზრდის დარგში კვალიფიციური ძალების მოზიდვას. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოს სკოლებში სიმღერა-მუსიკისა, მუსიკალური ჯგუფებისა და ხატვის მასწავლებლად და გუნდების ხელმძღვანელებად გაიგზავნა 500-დე სპეციალისტი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლები ან სწავლობენ მათ უფროს კურსებზე.

გადადგმულია პირველი ნაბიჯები შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წამყვანი მუშაკების მკვიდრად ჩაბმის მიზნით სასკოლო ესთეტიკურ მუშაობაში. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა კპ თბილისის კომიტეტის, განათლების სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს მიერ ე. წ. დეკემბრის 1—5 მოწყობილმა კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა ესთეტიკურ აღზრდას დედაქალაქის სკოლებში; კონფერენციის მუშაობაში ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო კონსერვატორიის, სახელმწიფო აკადემიის, თეატრალური ინსტიტუტის, კომპოზიტორთა კავშირის, საგუნდო საზოგადოების და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციების კოლექტივებმა; მათი ბევრი წამყვანი მუშაკი, როგორც მეთოდისტ-კონსულტანტი დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს სკოლებს.

უკანასკნელ ხანს მეტი ყურადღება ექცევა სასკოლო ესთეტიკური აღზრდის საქმეზე ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი ასახულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 10 ოქტომბრის, 1963 წლის 25 ოქტომბრის, 1964 წლის 12 მარტის, 1964 წლის 22 ივნისის, 24 სეტემბრისა და 31 დეკემბრის დადგენილებებსა და ბრძანებებში. 1964 წლის დეკემბრის 1—5 რიცხვებში მოეწყო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ესთეტიკური აღზრდის სექციების წევრების კურს-სემინარი, რომელიც მიეძღვნა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით დასახული ღონისძიებების განხილვას; კურს-სემინარის მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესებისადმი მიძღვნილი საქალაქო კონფერენციის მუშაობაში.

1964 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ კომკავშირის ც. კ-თან ერთად დაამუშავა პიონერთა და მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედებითი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებანი და განიხილა და მოიწონა ოლიმპიადის დებულება.

1965 წლის 1 იანვრიდან განათლების სამინისტროსთან უკვე შეიქმნა მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური მეთოდ-კაბინეტი, რომელსაც დიდი როლი ეკისრება ესთეტიკური აღზრდის დარგში მეთოდური საქიანობის გაშლისა და სკოლებისათვის ოპერატიული დახმარების გაწევის საქმეში.

მაგრამ ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის დონე საერთოდ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. სკოლათა დიდ ნაწილში მუშაობა ამ მხრივ არათანმიმდევრულად ტარდება და თანაც პრიმიტიულ ხასიათს ატარებს, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით მაღალი გემოვნების საწყისებით და მყარი ესთეტიკური ჩვევებით. ამასთანავე, რესპუბლიკის ბევრი სოფლის დამოუკიდებელ დაწყებით სკოლასა და რვაწლიან სკოლებში მხატვრული აღზრდის საქმე გაუპიროვნებულია, მაშინ, როცა მას საფუძველი სწორედ სწავლების ამ საფეხურზე უნდა ეყრებოდეს.

სკოლებისა და პედაგოგთა კოლექტივების საკმაოდ დიდი ნაწილი მოსწავლეებში აუცილებელი პირველადი ესთეტიკური ჩვევებისა და სწორი ესთეტიკური გემოვნების შესამუშავებლად ვერ იყენებენ იმ შესაძლებლობას, რასაც იძლევა ზოგადი განათლების საგნების პროგრამები და სახელმძღვანელო წიგნები. ასე, მაგალითად, დაწყებით კლასებში დედაენის გაკვეთილებზე ზოგიერთი მასწავლებელი ვერ ახერხებს ბავშვთა ყურადღება მიაქციოს სათანადო მხატვრულ ადგილებზე. ასევე, მხატვრულ ტექსტებზე მუშაობა ბევრი რვაწლიანი და საშუალო სკოლის V—VIII კლასებშიც დაბალ დონეზეა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კლასებში სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ითვალისწინებენ მხატვრული ლიტერატურის განხილვას სპეციფიკური, მხატვრული ასპექტით. ეს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული IX—XI კლასებშიც, რის შედეგად საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნაკითხობის დონე ძალზე დაბალია, ესთეტიკური გემოვნება პრიმიტიულია, ხოლო ზოგჯერ, რაც განსაკუთრებით მოუთმენელია, არა ჯანსაღიც.

ბევრ სკოლაში კვალიფიციური მასწავლებლების უქონლობის გამო მუსიკა-სიმღერის გაკვეთილები არ ტარდება ან ტარდება ერთფეროვნად; არ ხდება სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა, მათი გაანალიზება. დაბალ დონეზე დგას საგუნდო მუშაობა, მასში მოსწავლეთა მცირე ნაწილი ღებულობს მონაწილეობას. დღემდე არაა შექმნილი მოსწავლეთა ასაკისათვის შესაფერი საგუნდო

სიმღერების მრავალფეროვანი რეპერტუარი; არ ექცევა ყურადღება საგუნდო მუსიკის განვითარებას. ერთფეროვან ხასიათს ატარებს აგრეთვე სკოლებთან არსებული მუსიკალური ჯგუფების მუშაობა; ამ ჯგუფებში გაერთიანებული ბავშვების ჭარბი უმრავლესობა სწავლობს მხოლოდ ფორტეპიანოს, ძალზე მცირე—ვიოლინოს, სხვა საკრავები კი თითქმის მთლიანად მივიწყებულია.

უფრო მეტ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ხატვის სწავლების საქმეში. კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირის გამო სკოლების საკმაოდ დიდი ნაწილის V—VI კლასებში ხატვა არ ისწავლება, ხოლო დაწყებითი კლასების უმეტესობაში ამ საგანს არასპეციალისტები ასწავლიან. თავის მხრივ, სკოლისგარეშე დაწესებულებანიც შესაფერი ყურადღებით ვერ ეკიდებიან სახვით ხელოვნებისაკენ მკვიდრი მიდრეკილების მქონე ბავშვების მოთხოვნილებებს.

სკოლათა უმეტესობაში დღემდე არაა მოწესრიგებული და სათანადოდ დადგენილი სასკოლო-ქორეოგრაფიული მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები; ადგილი აქვს ქორეოგრაფიის ეროვნული ფორმებით ცალმხრივად გატაცებას და კლასიკური ქორეოგრაფიის შეუფასებლობას. ბევრ სკოლაში ბავშვებსა და მოზარდებს ისეთ ცეკვებს ასწავლიან, რომლებიც მათი ფსიქოფიზიკური განვითარების მოთხოვნილებებთან არ არის შეხამებული.

აღნიშნული და სხვა მსგავსი ნაკლოვანებანი პირველ რიგში იმით არის გამოწვეული, რომ სკოლათა უმრავლესობას, განსაკუთრებით სოფლად, არ ჰყავს მუსიკასა და ხატვაში კვალიფიციური მასწავლებლები, ხოლო დედაენის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის მასწავლებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავის თავზე სუსტად მუშაობს და პროგრამებით გათვალისწინებულ სათანადო საკითხებს პრაქტიკულად ვერ უკავშირებს ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს.

ამასთანავე სკოლების უმრავლესობა ჯერ-ჯერობით არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, საკრავებითა და სხვა მოწყობილობით მუსიკა-სიმღერასა და სახვით ხელოვნებაში (პიანინო, ვიოლინო, მაგნიტოფონი, ნოტები, მოლბერტები, სახატავი მასალები და სხვა), ხოლო კაბინეტები, ამ საგნებში მხოლოდ ცალკეულ სკოლებშია მოწყობილი.

ესთეტიკურ აღზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში არ არის დაწესებული ერთნაირი ესთეტიკური რეჟიმი და სკოლების გარემო ამ მხრივ სათანადოდ არაა მოწესრიგებული. სკოლათა ეზო-

ები, ფასადები, დერეფნები, დარბაზები უგემოვნოდ არის გაფორმებული; სასკოლო დგამ-ავეჯი არ პასუხობს ესთეტიკურ მოთხოვნილებებს; საჭირო წესრიგი არ არის დამყარებული მოსწავლეთა ჩაცმულობასა და თმავარცხნილობაში; ბევრი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ვერ აძლევს მოსწავლეებს მაგალითს მორთულობაში ზომიერების, სიფაქიზის, უბრალოების დაცვის თვალსაზრისით.

სავსებით არადამაკმაყოფილებლად იყო და არის დაყენებული სკოლისა, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა მშობელთა შორის ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე და ამის შედეგად ზოგიერთი ოჯახი ესთეტიკური აღზრდის წინაშე წაყენებული მოთხოვნილებების მართებულად გადაწყვეტაში სკოლას ხელს ვერ უწყობს.

დღემდე სწორ ნიადაგზე არ არის ორგანიზებული მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების სასკოლო, სკოლის გარეშე, რაიონული, საქალაქო დათვალიერების ჩატარების საქმე; დათვალიერებანი ხშირ შემთხვევაში ტარდება წინასწარშემუშავებული პროგრამების გარეშე, უგეგმოდ და ღარიბი პროგრამებით და მათში მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს მონაწილეობას; ნაკლები ყურადღება ექცევა მათი შედეგების დაჯამებას, მომავალი მუშაობისათვის ქმედითი ღონისძიებების დასახვას; უკანასკნელ წლებში არ ტარდება მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადები, რაც თავის მხრივ დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ამ მხრივ მოწინავე გამოცდილების ფართოდ განზოგადებაზე.

ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს დიდად ვნებს ის, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ ამ საქმეზე ხელმძღვანელობა გეგმაშეწონილ, მტკიცედ ჩამოყალიბებულ ხასიათს არ ატარებს და მის გარშემო ერთობლივად არ არის შემოკრებილი შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართო ფენები.

სკოლებში ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 აპრილის დადგენილებით დასახული ღონისძიებების თანმიმდევრულად და მაღალხარისხოვნად განხორციელების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

§ 1

**დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორებმა:**

ა) გადამჭრელი ზომები გაატარონ საიმისოდ, რათა არსებული პროგრამების საფუძველზე სათანადო საგნების მასწავლებლები სრუ-

ლად და სწორად ახორციელებდნენ ესთეტიკური აღზრდის ხაზით გათვალისწინებული აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას მოსწავლეებში და მათ განმტკიცებას;

ბ) შექმნან მუშაობისათვის სათანადო პირობები და მიაღწიონ იმას, რომ მუსიკასა და ხატვაში მოსწავლეები მასობრივად ეუფლებოდნენ სანოტო მუსიკალურ ანბანს, სახვითი ხელოვნების საფუძვლებს და ამ საგნებში ესთეტიკური ცოდნა-ჩვევების აუცილებელ მინიმუმს; უფრო ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს კლასიკური და ხალხური მუსიკა, ფერწერისა და ქანდაკების საუკეთესო ნიმუშები და ამ დარგებში საბჭოთა ხელოვნების მიერ მოპოვებული მიღწევები;

გ) ერთიანად დარაზმონ სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულების მუშაკთა მთელი კოლექტივი იმ მიმართულებით, რათა გაკვეთილებზე და საწრეო მუშაობის ხაზით თანმიმდევრულად წარმოებდეს გადამჭრელი ბრძოლა ბურჟუაზიულ ფორმალისტური ხელოვნებისა და ყოფაცხოვრებაში მდარე, არაჯანსაღი გემოვნების გამოვლინების წინააღმდეგ;

დ) დედაენისა და სხვა სათანადო დისციპლინების გაკვეთილებზე და საწრეო მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში წიგნის კითხვისადმი სიყვარულის აღზრდას, მხატვრული თხრობისა და დეკლამაციის დახვეწილი უნარის ჩამოყალიბებას, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების შეფასებისას სწორი კრიტერიუმების გამომუშავებას;

ე) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სკოლისა და სკოლის გარეშე დაწესებულების გარე ხედი, დერეფნები, დარბაზები, საკლასო ოთახები გაფორმებული იყოს ფაქიზად, სუფთად, მხატვრული ზომიერებისა და ტაქტის დაცვით და მოსწავლეთათვის მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენდეს;

ვ) სისტემატურად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საიმისოდ, რათა მოსწავლეთა ყოველდღიურ ქცევასა, ჩაცმულობასა და თმავარცხნილობაში მიღწეული იქნეს ზომიერება, უბრალოება, სიფაქიზე, პატივისცემა საერთო კოლექტიური ადათ-წესებისადმი;

ზ) გამოიყენონ ყველა შესაძლო საშუალება საიმისოდ, რათა მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში გამოყოფილი იქნეს კაბინეტები და შეიქმნეს პირობები ამ დარგებში ნორმალური მუშაობისათვის; მიიღონ ზომები, რათა კაბინეტები უზრუნველყოფილი იქნეს ყველა აუცილებელი მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკრავებით და სხვა საჭირო მასალებით;

თ) მეტი ზრუნვა გამოიჩინონ საიმისოდ, რათა, სადაც ეს შესაძლებელია, საწრეო მუშაობისას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სას-

კოლო თეატრალურ მუშაობას, ლიტერატურულ წრეებს, მხატვრულად გაფორმებული საგნობრივი ჟურნალების, ალბომების, გაზეთების გამოცემას, ფერწერის საუკეთესო ნიმუშების გამოფენათა მოწყობას და სხვა;

ი) მტკიცე კავშირი დაამყარონ მშობლებთან, აწარმოონ მათთან თანმიმდევრული მუშაობა ოჯახში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე; ფართოდ ჩააბან სასკოლო და სკოლისგარეშე ესთეტიკურ საქმიანობაში ის მშობლები, რომელთაც საამისო ცოდნა და გამოცდილება აქვთ;

კ) საბჭოს სხდომებზე და საგანგებო თათბირებზე პერიოდულად განიხილონ ესთეტიკური აღზრდის საკითხები და მიიღონ ზომები საამისოდ, რათა ესთეტიკური აღზრდის ღონისძიებებში მასობრივად იყოს ჩაბმული მოსწავლეები და მუშაობა ამ დარგში ტარდებოდეს პროგრამული მოთხოვნილებების შესაბამისად.

§ 2

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა პირველი რიგის ამოცანად დასახოს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება.**

ა) რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს და მისი სექციების შექმნა-ჩამოყალიბება, ფუნქციების ზუსტად განსაზღვრა და მიმდინარე წლის იანვრის ბოლომდე მათი ამოქმედება;

ბ) ესთეტიკური აღზრდის დისციპლინების პროგრამების შედგენა, გადასინჯვა და დაზუსტება და ამ დოკუმენტებით სკოლების უზრუნველყოფა 1965—1966 სასწავლო წლიდან;

გ) ესთეტიკური აღზრდის ძირითად დარგებში კლასგარეშე და სკოლის გარეშე საწრეო მუშაობის შინაარსისა, ფორმებისა და მეთოდების შესახებ სარეკომენდაციო მითითებების შედგენა ამავე ვადებისათვის;

დ) რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებთან არსებული ესთეტიკური აღზრდის სექციების დებულების დაზუსტება და ამ სექციების მუშაობაზე სისტემატური ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის დაწესება;

ე) პიონერთა და მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედებითი რესპუბლიკური ოლიმპიადისა და ადგილობრივი დათვალიერებებისათვის რეკომენდაციების შედგენა სიმღერა-მუსიკაში, ფერწერა-

ქანდაკება-ძერწვაში, ქორეოგრაფიაში, მხატვრულ დეკლამაციასა და სასკოლო და სკოლისგარეშე ლიტერატურულ მუშაობაში, სასკოლო და სკოლისგარეშე თეატრალურ მუშაობაში, ხელოვნების გამოყენებით დარგებში;

ვ) სასკოლო ესთეტიკური მუშაობისათვის აუცილებელი მოწყობილობის, ხელსაწყოების, მასალების განაცხადების დაზუსტება და თვალყურის დევნება მათ ათვისებაზე;

ზ) კლასგარეშე საწრეო, ჯგუფური და გუნდური მუშაობისათვის აუცილებელი საარიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-განხილვა-დაბეჭდვა და ამ დოკუმენტებით სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების უზრუნველყოფა;

თ) ესთეტიკური აღზრდის დისციპლინების მასწავლებელთა ახალ კადრებზე მოთხოვნილებების დაზუსტება და მათ მიზანშეწონილად განაწილებაზე ზედამხედველობის დაწესება;

ი) საბავშვო სიმღერების კრებულების მომზადება სწავლების ცალკე საფეხურების მიხედვით და მუშაობის წარმოება მეთოდური ლიტერატურის შექმნაზე ესთეტიკური აღზრდის ცალკე დარგების მიხედვით:

კ) მ. წ. ზაფხულის პერიოდში სახვით ხელოვნებაში მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენის მოწყობა;

ლ) ოპერატული ხელმძღვანელობის განხორციელება მხატვრული აღზრდის დარგში და ამ მიმართულებით პირველ რიგში რამდენიმე რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულების შესწავლა, შედეგების განხილვით განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე;

მ) სამინიტროს კადრების განყოფილებასა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად მიმდინარე წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს ერთკვირიან კურს-სემინარებზე ესთეტიკური აღზრდის სექციების 300-დე მუშაკისა და ერთთვიან საზაფხულო კურსებზე 100—100 სიმღერა-მუსიკისა და ხატვის მასწავლებლის გატარება.

§ 3

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ და რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებმა:**

ა) მთელი მუშაობა სკოლაში ესთეტიკური აღზრდის დარგში იმგვარად წარმართონ, რათა იგი ატარებდეს მასობრივ ხასიათს,

მოიცავდეს ბავშვთა დიდ უმრავლესობას. ძირითად ამოცანად ისახავდეს ახალგაზრდებში მაღალმხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების გამომუშავებას და კომუნისტური ესთეტიკური იდეალის მკაფიოდ ჩამოყალიბებას;

ბ) მიმდინარე წლის იანვრის ბოლომდე საგანგებოდ შეისწავლონ მხატვრული აღზრდის საქალაქო, რაიონული სექციების მუშაობა, გადაახალისონ ის სექციები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და მომავალში შეუქმნან მათ სათანადო პირობები ნორმალური საქმიანობისათვის;

გ) მტკიცე კავშირი დაამყარონ ადგილობრივ შემოქმედებით ორგანიზაციებთან, მუსიკალურ და სამხატვრო სასწავლებლებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან და უზრუნველყონ სკოლების ესთეტიკურ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობა;

დ) პერიოდულად კომპლექსურად შეამოწმონ რაიონის, ქალაქის სკოლებში ესთეტიკური აღზრდის დარგში არსებული მდგომარეობა და ამ საქმეში ფართოდ ჩააბან ესთეტიკური აღზრდის სექციის აქტივი; შემოწმების შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი;

ე) სასწავლო წლის ბოლოსათვის გულდასმით გადასინჯონ ხატვისა და სიმღერა-მუსიკის მასწავლებლებისა და მხატვრულ-შემოქმედებითი წრების ხელმძღვანელთა შემადგენლობა და ის პირები, რომლებიც მოთხოვნილებას ვერ პასუხობენ, სათანადო წესის დაცვით, გაათავისუფლონ სამუშაოდან; მომავალში კატეგორიულად აკრძალონ ამ სამუშაოებზე არასპეციალისტების დანიშვნა; დაევალოს განათლების განყოფილებებს: ხატვისა და მუსიკა-სიმღერის კვალიფიციური მასწავლებლების დამაგრების მიზნით რვაწლიან და საშუალო სკოლების III—IV კლასებში ამ საგნების გაკვეთილები გადასცენ სპეციალისტებს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამან არ გამოიწვიოს ამ კლასების მასწავლებელთა დატვირთვის შემცირება ნორმაზე ქვევით;

